



୩ ଠ ୧ ୧ ୯ ୮ ୦

ଶୁଣନ୍ତାଙ୍କ „ଖ୍ରୀଷ୍ଟିଲିଙ୍କିତା“

I	ଲାକିବିଲେ ଅନ୍ଧବିଲେ ଲାଭେ, ଲୈକ୍ଷଣୀ—ହାତ୍ରା ଓହିବେଳାଟିଏ	3
II	ଶ୍ରୀମଦ୍, (ଅମିତ୍ଯାଗ) —ତ. ଆଶ୍ରମୀକ୍ଷିତିଲିଙ୍କିତା	7
III	ଗାନ୍ଧିଯୋଗିରେବା, (ରୁଷସ୍ଥିଲିଙ୍କାନ) —ତ. ହାନିଧେଳେଖିତା	17
IV	ମହାବଲିବିଲେ ନାନା, ଲୈକ୍ଷଣୀ — ଶିଳେ ମତ୍ତୁମିଶ୍ରିତିଲିଙ୍କିତା	22
V	ପାତ୍ରାଚାରୀ ଲୋକିଲିଙ୍କିତିଲେ ତାତ୍ତ୍ଵ-ଗାନ୍ଧାରୀବାଲୀ ତାରଗମାନି—ଜ—ଶବ୍ଦା	25
VI	ରାମଦେବିମ୍ବୀ ଶ୍ରୀରାତ୍ରି କିରଣ୍ତୁପୁରୀକାରୀ—ବିବରଣୀ—ବିଭିନ୍ନପାଇତା	40
VII	ଖ୍ରୀମିଲେ ବାରିତୀଲିଙ୍କିତିଲେ ପକ୍ଷୀରେବା. (ଶ୍ରୀମଦ୍ୟଗ୍ରାହି) —କାର୍ତ୍ତୁରୀଟିଲିଙ୍କିତା	47
VIII	ମେପକ୍ଷ୍ୟାର୍ଥୀ ଲାଭ ମଧ୍ୟଲିଙ୍କିତିଲିଙ୍କିତା, (ଗଜ୍ଞାଗ୍ରା) —ଶ. ମିଶିବାନ୍ତିଲିଙ୍କିତା	56
IX	ପକ୍ଷୀରୀ ଲାଭ ଏକଲେମି— ଶ୍ରୀକାନ୍ତିଲିଙ୍କିତା	57
X	ଅନ୍ଧିଲେ ଦାରୀଗ୍ରେବା — ସାନ୍ଦର୍ଭକାରୀ	58
XI	ଅନାଗରାମି ଅନ୍ଧିଲେବିତି ଲାଭିଲିଙ୍କିତା	

ଶୁଣନ୍ତାଙ୍କ „ଖ୍ରୀଷ୍ଟିଲିଙ୍କିତା“ 1897 ଫିଲେକାପ ଗାମନ୍ଦା ପୁରୁଷୀ ରମ୍ଭାର ଅନ୍ଧିଲେ ପକ୍ଷୀ ଲାଭିଲିଙ୍କିତା କିମ୍ବା ଶ୍ରୀମଦ୍ କାନ୍ତିଲିଙ୍କିତା ମିଶିବାନ୍ତିଲିଙ୍କିତା ମିଶିବାନ୍ତିଲିଙ୍କିତା 12 ଫିଲେକାପ — କିମ୍ବା ଶ୍ରୀମଦ୍ କାନ୍ତିଲିଙ୍କିତା ମିଶିବାନ୍ତିଲିଙ୍କିତା ମିଶିବାନ୍ତିଲିଙ୍କିତା 4 ଡିନେ ମିଶିବାନ୍ତିଲିଙ୍କିତା ମିଶିବାନ୍ତିଲିଙ୍କିତା 5 ମିନିଟ୍‌ରେ କାନ୍ତିଲିଙ୍କିତା କାନ୍ତିଲିଙ୍କିତା



სარდე, მწვანე ჩეხოლო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..

.. ღ.

№ III

ველიძე გერებე ჭრა



ტე ილ 060

სტამა გ. დ. როცინიანცია || თე. მ. დ. როცინიანცია. გი. ა. ა. № 41.
1897.



Доказано цензурою Тифлисъ, 6-го Марта 1897 года.

ღარიბის აღების ღამე.



ისაც რამა აქვის საჭმელი
და კდეს და გაიხაროსა;
ხვალიდან მარხვა დადგება
ის ხომ უფალმა დალოცა.
საბრალო გოგიას ქვრივი
აფხავუნებდა თაროსა:
„ახლავ ერბო-კვერცხს მოგიწვავთ“,
შიოს აკერია დაროსა,
ეგები დადგენ, ატეუებს
სოსოს, დათას და მაროსა.
ხელში შესცეკრენ ბალლები
საქართველოს, რით მოაგვაროსა?!.
ჰურიც არ უძევთ გარცლშია
მარილი მოაგვაროსა,
თორებ ერბო, კვერცხს ვინ მისცემს
იმ მშობელ გასახაროსა!
ხან მელის ზღაპრებს მოუევა
ხან ჩიტუნიას ჯმბებსა;
მოსწავებია დედასა
მილი მოჭიდვაროს ბალლებსა.

არ იქნა არ იძინებენ
 დედას აგლეჭენ კალთებსა.
 ერთი შესტირის: „ზურიო“,
 მეორე მოთქამს „ბაბასა“;
 თათებით სწერენ საბრალოს
 ისეც დაგლეჭილ კაბასა.
 დაღონებულმა მშობელმა
 ისევ მიჰმართა ტაფასა.
 გუმრი-წინანდელს ნადუღარს
 ტაფაზე მიმწვარს ფაფასა,
 მოფხიკა პატარ-პატარა
 შეასუსნინა უველასა,
 ადგა და გარეთ გავარდა
 ცრემლი სულს ჟენუთავს, ენასა.

* * *

გადგა კარებში... საბრალოთ
 აძრასდა დაიჭითინა
 და ამ დროს მაღლის მთიდანა
 ნიავმაც დაისისინა.
 — შედგა ბალდო ქრიმულზედა,
 გულს ჩასწვდა მოთქმა დედისა,
 თქვა: „მოდი ერთი გავიგო
 ვინ არს მწევარი ბედისა?“
 გაიგო, უურიც დაუგდო

დარიბების აღების დამე

მწუხარე დედის „ვაჭმესა“,
 წავიდა, დაიღუღუნა
 ბნელს და უკუნეთ დამესა.
 მიდის და თან მიიძახის,
 როგორც საკვირველს რამესა.

წავიდა გასცდა სოფელსა
 სასაფლაოსკენ გასწია,
 შედგა გოგიას საფლავზე
 ხმას უფრო მაღლა ასწია.
 გოგიას ვერ შეასმინა
 რაც იმას დაბარესა.
 მიდის და „ვაჭმესა“ იმახის
 მთით, ბარათ, უოველ მხარესა.

* * *

მგელი მოღოლავს სოფლისკენ
 და ეფარება ბექებსა;
 მოღის თვალ-გაფაციცებით,
 ფრთხილათ აღგამზა ფეხებსა;
 მარხვას იუნებს, ვითომა
 ჭურის რამ მოჭპაროს გლეხებსა.
 შედგა და ეური დაუგიდო
 დედის მოთქმასა მწარესა.
 „ოჭ, აქ შიმშილის სუნია
 მე აქ რა გამასარებსა.“.

გაიცდა სასაფლაოზე,
 ახალს სამარეს დაჭედა:
 „ქაცო, ცოლშვილი გიტირის!“
 საფლავს დაჭრმუის თავზედა,
 მაგრამ პასუხი არ ესმა,
 თავს იტკივებდა რაზედა?
 იმ დროსვე მთის ნაკვეთიდან
 ამოეშუქა მოვარესა,
 მთის წვერებს გვირგვინს ადგამდა,
 ლამაზს ახილებს თვალებსა.
 შეესმა დედის ტირილი
 უურს უგდებს შესაბრალებსა.
 მიბრუნდა გაჭქრა ციდანა
 ღვთის საბრძანებელს მიჭმართა,
 შირ-მოქუშული გაჩერდა,
 სხივნი მაღლისკენ ამართა,
 დაუწუო უფალს ვედრება,
 ბეჩავთათვის თხოვს შველასა:
 სადაც ვის უჭირს, ვინც წვალობს
 მათ ვაჟებარათ უველასა.

ვაჟა-ფშაველა.

ს ვ ა გ ი.

(ა მ ბ ა კ ა).



იდი ხანია, რაც ის აქ მოეიდა და მაღალ, მწირსა და ყინულიან მთაში დაბინავდა. განა სიცხისა ეშინოდა, ან მთა უყვარდა, ან ყინულებს შესტრფოდა და იმიტომ დასახლდა აქა? სრულებითაც არა! ბარში აღარ დააყენეს, შიმშილით სიკვდილს ისევ თოვლიან მთაში აჩინა შენიშნვა; თუ ბევრი არ იქნება კოტას ხო მაინც ვიშოვი საჭმელსაო. მეცხვარებისგან არ იწება არა მერგოს-რაო. მგელი მოიტაცებს რასმე, ძეალი მაინც დამრჩება, კლდეზე დაიჩეხება რამე, ხო ჩემი ლუკმა იქნებაო.

მართლაც და ძალიან გამხდარი იყო. სქელ ძელებზე მარტო ლურჯი კანილა ეკრა. — რა იქნება, ლმერთმანი, იმ სისხო

ფრთებს და ბუმბულს ცარიელა ტყავში?!.. ერთი ბუმბულისთვის რო გამოგეწია, ასე გეგონებოდა, მთელი კანი აეყარაო.

ან კი რა გაასუქებდა, — იმის მუცელი განა მაგრე აღეილათ ამოიყორებოდა?! თბილი სისხლი უყვარდა და რბილი ხორცი, ის იყო სვავის ალდეომა.

გაგრამ სად იყო რბილი ხორცი?! კურდელი მარდი იყო, იმას არ ჩაუვადებოდა ხელში, როჭო

და კაკაბი ფრთხილები იყვენ, საიმისოთ არ გახდებოდენ, მწყემსი ძუნწი იყო, სეავისოფის არაფერს გაიმეტებდა.

მგელი იმაზე უარესი ხარბი და გაუმაძლარი იყო, საშოგარი თვითონაც არა ჰყოფნიდა, ნახევარზე მშიერი მუცლით დალაწ-ლაწებდა.

თვითონ სეავი კი მშიშარა იყო, ან არწივთან ებრძოლა და ნადაელში წილი ჩაედო, ან ლეშზე გაბოტიტნებულ ჯაჯირს მიპტო-მოდა და თვითონაც ეთქველიფა დამპალი ლე'ში, ან შეარდენს შე-სცილებოდა გემრიყელ კაკბის ლუკმასა.

რა ექნა, რით გამაძლარიყო, რით უნდა გასუქებულიყო. მეტი ლონე არ იყო, რაკი ჯერ ძალით ვერას გახდებოდა, უნდა დრომ-დე ეთმინა. ითმენდა სეავიც, როგორც ის კლდეები ითმენდენ შე-მთაში დგომას, სადაც სეავი ბუდობდა, და ძირს არ იმზლელეოდენ; ითმენდა და ზეავ-ყინულების ძლვითა კმაყოფილდებოდა.

* *

გადიოდენ დღეები, თვეები, წლები. წყლის ნაკადულივით გა-
უწყვეტლათ მიპქანაობდა დრო ესმი.

შეეჩერია სეავიც თოვლიან მთასა. სადღა ახსოვდა ბარი. რო-
ეკითხნა ეისმე: საიდან მოხველ, სადაური ხარო, გაკვირვებით და-
იწყებდა ცქერას:

— ჩასა მკითხავ, არ იცი რომ მთის შეილი ვარ, ამ კლდეებ-
სა და ყინულებში გაეჩნდი და გავიზარდეო.

მართალია არწივისოფის არა წაურთმევია-რა. საშეარდნე კლდე-
საც შიშით ახლო ვერ გაუვლიდა ხოლმე.

ერთხელ შეარდნების ბუდის ახლო მოუნდა გაელა. დაუხუ-
ლუზნეს (დაუქროლეს) შეარდნებმა, ჰერეს კლანჭები; ერთი წიე-
ლი და მხრების ტყლაშა-ტყლუში იდგა. საცოდავი სეავი ხან მხრებს
უფარებდა, ხან ზურგზე გადატრიალდებოდა და თავის ბოკო კლან-
ჭებს მიაგებდა მოტევებულ შეარდენს. მაგრამ ამ დროს ძირი-

დან ახლა სხვა შეუტევდა და ისევ გადმობრუნება დასჭირდებოდა. რის ვაი-ვაგლავით გაახწევდა ხოლმე.

— ოხრათ კი გახდეს! ამაზე რაღა გამომატარებს, შიმშილითაც რო ვკვდებოდეო, იტყოდა ხოლმე.

* *

ძალიან მიყვარს, როგა ცხერის ფარები რთვილავით დაედება ხოლმე მთების კალთებსა. მეცხვარეც ხომ თავის თვალის ჩინიებით უფოხილდება, შესტრფის და შეპხარის თავის დუმასქელ ერკემლებსა. მაგრამ ყველაზე მეტათ კი სეავს უხარიდა ხოლმე იმათი მთებზე ამოსელა. სიხარულით თვალები გოდრებივით დაუხდებოდა ხოლმე. იჯდა კლდის თავზე, ან არყის წვერებში და სიამოვნებით იქექებოდა, თან ხარბის თვალით მწყემსა და იმრს სამწყსოს გაცემოდა: ან დავარდნილი ცხვარი ხომ არსად დარჩა, ან ყეყეჩი ბატყანი არ ასხლტა ფარასაო.

თუ სადმე ყორნების ყრანტალი შემოესმოდა, ან ფრინველების ბოინს შეწიშნავდა, რომ ერთ ადგილს ეთელებოდენ, სევიც მხერების ტყლაშა-ტყლუშით იქითკენ მიეშურებოდა, არ იქნებოდა არა რეგბოდა-რა.

იმისი თვალი ძალიან, ძალიან შორს ჰქედავდა. გალმა-გამოლმა მთებში, ძირს კიდევ ხევ-ხუებში არა გამოეპარებოდა რა. დაჯდომის დროს მუდამ მაღლობ ადგილს რჩეობდა, თუ ფრინავდა, მალლა-მაღლა ადიოდა და იქიდან ათვალიერებდა.

ხალხი კი იძახოდა: სული იცის სეავმა, მაშინვე გაიგებს, სადაც ლეში გაჩნდებაო.

გაიგებდა ხოლმე კიდეც, თუ შეპხდებოდა, ერთი ბარაქიანა-თაც მიაძლებოდა. შეეჩია სეავი მთასა და მთის მცხოვრებთა. იმის ფიქრით მწყემსი იმიტომ იყო გაჩენილი, რომ სეავისთვის ცხერები დაეზარდნა, მგელიც იმიტომ ნადირობდა, რომ იმისთვის საჭმელთ ლეში გაეჩინა, ყორნები კიდევ იმისი ჯაშუშები იყვენ. შეეჩია ყველა ამათ სეავი. ყველას თავის სასარგებლოთ იყენებდა. გაგულად-

და, თან ამაყი, გულ-ზეავი და თავ-მომწონე გახდა. მკვდარ ლეშა
ალარა ჯერდებოდა, ჯოცხალ ცხვრებსა და ბატქნებსაც დაუწურ
ტანება.

* *

წეიმიანი და ნისლიანი დღე იყო. ორი დღის მშიერი სვაერ
წეიმისაგან შეწუხებული და შინშილით დაყმენდილი ხმელ-ძვლებს
ხრავდა და ჰგლეჯდა ძალლივითა, მაგრამ თითო ციცქა ხმელი ძარლ-
ვის ნაგლეჯი იმის მუცელს რას ამოპურავდა.

— მზე მაინც გამოეიდეს, შევშჩე ცოტა. რა ოხერი ნისლიან-
ბურუსიანია ე მთა, რა იშეიათია აქ მოკრიალებული ცა. იძახდა
სვაეი; ვითომ მზესა ნატრობდა, მაგრამ თან ფიქრი სხვაგან მიურ-
ბოდა.

— „არა, არა! მზე რათ მინდა, მე მოკრიალე ცა ვერ გამაძ-
ლობს, ისევ ჯანლიან-ბურუსიანი, მოტირალ-ჩამოშავებული დღე მი-
რჩევნია. საშოვარი ამისთანა დღეში იშოვება. დარში და მზეში უვე-
ლა თავის-თავს უპატრონებს.

რაზე ჰკედები მშიერი, შე ბრიყვო ჩემთ თავი, ადექ, მეცხვარე
ხო ფარეხში ვერ დაალრიცნაბს ცხვარსა, არ უნდა აძოვოს!

ადგა სვაეი, გაიზმორა, შეიბერტყა შავი მხრები და ცხვრების
ფარის მუქარაზე წავიდა.

მეცხვარესაც ნამ-წეიმისგან დაზუზული ცხვარი ლიჭიან მთის
კალთებზე გაეშალა. თითონაც ნაბად-წამოსხმული, ყაბალახ-ჩამო-
ბურებილი კომბალს დაჰკრდნობოდა და თვალს აღევნებდა ცხვარსა.
ცხვრის ფარა ზეავიერ მიჰქანაობდა, ხან აღმა მიჰცურავდა, ხან დაღმა
დაეშვებოდა, ხან ხევ-ხევის პირებს მოსდევდა, კლდეებზი და ბექებ-
ში ებლოტებოდა.

უცებ კლდიდან მოწყვეტილი ქვა ერთ ცხვარს მოხედა, და იქ-
ვე გადააგორა.

ფარა გასცდა. ვერც მწყემსმა და ვერც ცხვრის ფარამ ერთი
ცხვრის დაკლება ვერ გაიგეს.

ქვეისგან დაქცილ დამტერეული ცხეარიც ფართხავდა, ის იკ-
ლაკენებოდა, უნდოდა ფეხზე წამოდომა, რის ვაი-ვაგლახით წინა
მხრებს აიწევდა, უკანათ ვეღარ აიტანდა და ახლა ისევ გულამა
გადაყირავდებოდა. კარგა ხანი ევდო ასე ახრათ და ტიალათ.

ახლო მდგომი ბალახები სულ გაჰქილა, ქვები ტალახითა და
სისხლით მოსვარა.

ამ დროს მშიერა სეავიც გამოაჩნდა. ასლი საიმისო იყო! კარ-
გა ხანს დაპერაშერაშებდა თავის მსხევრპლსა, ხან სულ ზედ გაეხა-
ხუნებოდა, ხან ეითომ იქვე დაპირებდა დაჯდომას, მაგრამ არა
ჯდებოდა კი; ამ დრო ის გარემოსა ჰქონდავდა და ათვალიერებდა:
ან ჩასაფრებული არავინ იყოს, ან ბადე ან იყოს დაგებულიორ.
რაკე საშიში არა ჩანდა-რა, მიმშედა და პირდპირ ცხერის თვალებ-
წინ დაჯდა, დაზერა, ადვილათ დაიმორჩილებდა თუ ბრძოლა მო-
უნდებოდა, მაგრამ რა წინააღმდეგობას გაუწევდა სულთ-მობრძანევი
ცხეარი.

საცოდავი სეავის კლანჭებში მარტო ბორგავდა, აქეთ-იქით
ეხეთქებოდა და აწყვეტდა თავს.

სეავიც ჯერ თვალებს ეტანებოდა, პირველათ, იმათი ამოჩიჩქნა
უნდოდა. საზარელი იყო იმათი ბრძოლა, — დამარცხებული, სულთ-
მიბრძანები სეავის კლანჭებში ჰლევდა უკანასკნელ სიცოცხლის
წუთსა, გამარჯვებული სისხლის მსმელი ზედ იყო გადალაჯული,
ჰგლეჯდა და თან ფრთხ-ბოლოს აბერტყებდა ზედ. გაბოტიტნებუ-
ლი სეავი ჰგლეჯდა და ჰბლექდა, ძეალს, ტყაეს, ხორცს ერთნაი-
რათ ჰყლაპავდა. ნახევარი კიდეც ჰქონდა გამოხრული, რომ ცხეარ-
მა მაშინ-ლა დალია სული. გაძლა სეავი, გაილექა თბილი სისხლით,
აფრინდა იქიდან და იქვე შორი-ახლო, ძირს გადაკიდებულ ერთ
კლდეზე დაჯდა და დაიწყო ქექა. იქექებოდა, თან ნისკარტს იწმენდ-
და და ფრთა-ბუმბულს ისწორებდა.

დასევენებულმა მძიმე-მძიმეთ, ყეინტ-ყეინტით გასწია სასეარსკენ.

რა შურით შეცეროდენ სხვა სეავები ამ სისხლით მოვრალ.

სა, ზოგს გულიც ელრინებოდა, მაგრამ ვინ რას გაუტელავდა, ზოგი შიშით, ზოგი იმ იმედით იქნება დანარჩენიდან მეც მარგუნის რა-
მეო.

მეორე დღეს პატრინმა მატყულის ნაფლეთები და წელების ნაგ-
ლეჯები-ლა იპოვნა თავის ცხერისა.

* * *

ვინ იცის რამდენმა ხანმა გაიარა ამას შემდეგ. გაონაერებულ-
მა სეავმა მრავალი ცხეარი და ბატკანი გაგლიჯა, ბევრი ბედაური
ცხენის გალა გამოხრა. სუყველაფერს ინელებდა იმისი კუჭი.
ძალიან გადიდგულდა, ასე ფიქრობდა: მთასა ვარ, ფეხი ბარს მიდ-
გა, ჩემია მთელი ქვეყანაო. არაეისთვის იყო იმისი გამოჩენა სასია-
მოვნო, მეცხეარემ იცოდა, რომ თუ ფარას სვავი დასტრიალებდა,
უკველათ გაპგლეჯდა რასმე. არც სხვა სულიერნი ხარობდენ იმის
გამოჩენას, იცოდენ იმის ამბავი.

სვავისთვის კი სულ ერთი იყო, ვინ რასა ფიქრობდა, ის ყვე-
ლაფრით კმაყოფილი და გულგრილი იყო. თავის-თავი ყველას ბა-
ტონათ მიაჩნდა. ეგონა უიმისოთ ქვეყანაზე არა გარიგდებოდა-რა-
უკვირდა: სადაც მე ვარ, იქ სხვა ფრინველ-ნაღირნი რითო
საზრდოობდენ.

მხოლოთ ერთი დარდი და შიში ჰქონდა შავ სვავსა, ის
უფრთხობდა ძილსა და მოსვენებას უკარგავდა. რაც უნდა კაი გუ-
ნებაზე ყოფილიყო და კაი საშოგარიც ჰქონდა, როცა არწიების ყე-
ფა იმის ყურამდე მიახწევდა, მაშინვე მხრები უღუნდებოდა, გული
დაუწყებდა კანკალსა და აფორთქლებული გაეშურებოდა სასვაო
კლდისაკენ. იქ იყო იმისი ბინა. სვავის უძლომ მაღას კიდევ არწიების
შიში უდებდა საზღვარსა, თორემ მთელ ქვეყანას აიკლებდა. რო-
ცა არწიების კივილისაგან დამტრთხალ-დაფორიაქებული სვავი მიახწევ-
და თავის თოვლიან-ყინულიან კლდემდე და თავს კლდის ყბაში და-
იგულებდა, მაშინ კი გული ეძლეოდა და სიბრაზით ამლერეული,
სისხლიანი თვალებით მუქარას უთველიდა ფრინველთა მეფეს.

— ან მე უნდა ეყო ამ მთებში ბატონი, ან შენ, აჩწიეო! ორი-
უც აქ ბინა არა გვაქვს. ბრძოლამ უნდა გადასწყვიტოს, ეს დარ-
ჩეს ბატონობა, ან ვინ უნდა გაერთხოს დედამიწაზეო. მართლაც-და
ამ ორ ქვეყნის შპამელ ბუმბერაზების ბრძოლა სანახავი იქნე-
ბოდა, ვინც კი მოესწრებოდა. მაგრამ ერთ-ერთი ამ ბუმბერაზთაგანი
ისტორიამ და დროთა-ბრუნეის საიდუმლომ მოსპო უმორათ და
სისხლის დაუღვრელათ, თუმცა ერთ-ერთის სისხლი კი დაიქცა.

* *

საზარელი წელიწადი იყო ხალხისათვის. შეშინებული ბარი
მთისკენ გარბოდა და ზარდაცემულნი მთის მცხოვრებნი კიდევ ცა-
ში თუ აებლოტებოდენ, თორემ სხვა საშველი აღარ იყო. ჭირი
რო მთასა და ბარს მოდებული და საქონელს მუსრს ავლებდა.

აღარავინ იყო მშველელი. შეილია დარი ხარები უპატრიონო
იხოცებოდენ სადაც მოპეტებოდათ: ბინები, ბაკები, გზები, ხევები სულ
სავსე იყო საქონლის ლეშით. გაზიდეასა და გადაგორებას ძლიეს-
ლა აწწრებდენ. ისევ ისე გაუტყავებელს ჰყრიდენ ხევებში. ბევრი
ხელალებით თავს ანებებდა საქონლით სავსე ბაკებს და ისე ღვთის
ანაბარას უშვებდა. რაც იხოცებოდა, ხო იხოცებოდა, რაც ცოცხა-
ლი გადარჩენილიყო — ისინიც უპატრიონო ნაბინაერებში და ბაკებ-
ში დალასლასებდენ 'შიმშილით მიხრწნეულები, თავს-დაპერუნავდენ
დახოცილ ამხანავებს, ბუბუნებდენ და ღრიალებდენ ნასისხლარებზე.
არ იყო მთა, არ იყო ხევი და ღვლე, რომ საქონლის ლეშით არა
ყოფილიყო სავსე. ტყე და მინდორი ნადირითა და ფრინველით აიესო.
ნამდეილი ყურთა გლეჯა იყო, ოხერ უპატრიონო ლეშზე და საქო-
ნელზე ნადირთა და ფრინველთ ჰქონდათ გაზიდულობა და ლხინ-
ქორწილი.

სად იყო სვავი? რას აკეთებდა? არა ძლებოდა ლეშითა?

— იქ იყო ისიცა და მრავალ-უთვალავნი სხვანიც, იმის მო-
დგმისანი.

უპატრიონო ლეშით ძღებოდა და ილექტოდა, სეავთა გუნდი
და ყორნების შავი ლაშქარი.

ოჯ, რა საზარელი იყო, როცა ახლათ მოჯარებული სეავები,
ორბები, ყაჯირები, ყორნები, ყველიერები და უვაუ-კაჭკაჭები ლე-
შის ახლო ხეებზე ჩარიგდებოდენ და ელოდენ, რომ როცა ლეში, მო-
იცლიდა იმათოების, დასცემოდენ და ეთქვლიფათ.

დავეშებული, წელამდე სისხლით მოსერილი ძალლები შიგა-
ძერებოდენ გამაფაშეულ საქონლის ღრუჟეში და ზედ დამსხდარ
სეავებსა და ყორნებს უღრენდენ და ერეკებოდენ, სანამ თავის მუც-
ლეას არ გაიძლობდენ, მერე კი დამაძლრები ამოდიოდენ ხევიდან
და მწეანე მინდობრზე გორავდენ სისხლით გალექებულები.

— სად იყო შავი სეავი? ხომ არა ჰშიოდა?

— განა დაუშლიდა ეინმე იმას ლეშზე მისელასა?! რა ენალე-
ლებოდა იმას ძალლების ღრენა და ყაჯირების ქშენა. იჯდა ერთ მთა-
სავით ხარზე და თავის რკინის ნისკარტით ჰგლეჯდა და ჰყლაპავდა
ლეშსა.

გაუმაძლარი ყლაპვას ვერც კი ასწრებდა, ისე ხარბათ ჰთქვლეფ-
და. ლუქმა ლუქმას ეწეოდა, ეტენებოდა ყრანჭა და მერე იგრძე-
ლებდა სეავიც კისერს, რომ ლუქმას ხალვათად ჩაევლო ყელში და
ახლა სხვისთვის დაეთმო ადგილი. ასე ჰყლაპავდა მთელი დღე და
საკეირველი ის იყო, სად მიდიოდა იმოდენა ნაჭამი, რა მუცელი
იტევდა?!

მზეც გადიწვერა, დაძლენ სეავები და გაფრინდენ, ყორნებიც,
ყაჯირიც, ყველიერებიც, ყველა გალექებულ-გამაძლარი თავის ბინი-
საკენ მიეშურებოდა.

სცადა შაემა სეავმაც გაფრენა. რაკი ბინდი ახლოვდებოდა და
ახლა მგლებისთვის უნდა დაეთმოთ სუფრა, ეცალა აფრენას, დარკაპ-
ეა მუხლებში, მხრები ღლინერათ დაიქნია ჰაერში, მაგრამ მუცელი
აღარ აჰყავა, ჰაერშა ველარ ასწია, ძალიან დამძიმებულიყო. იმოდე-
ნა ნაჭამი იმის მხრებმა ველარ დასძრა. გადმოვიდა სეავი ლეშიდან;

ახლა გაქცევითა სცადა გაფრენა, გაიქცა, გაიქცა და მერე ჰაერში შეხტა, მაგრამ მხრებმა ეყრ დაიმაგრეს და ძირს გაიშხლართა.

მერე მაღლა ბეჭიბის თავზე აფოფხდა, იფიქრა: რაკი მაღლი-დან გადმოეშეები და ჰაერში მოვექცევი, მერე გაემართებიო. მართლა გადმოხტა, მაგრამ ეყრც აქ დაიმაგრეს მხრებმა, ძირს ტყა-ჰა მოსძერა და კუნძივით გაგორდა, კინალამ დაიმსხერა და დაი-ღეწა.

რაღა ექნა, მეტათ აე-გუნებაზე დადგა და დაუწყო თავის მუცელს ლანძლვა და გინება, ამ დროს დაბინდდა კიდეც. სვავი აპირებდა საღმე შეძრომას და თავის მოფარებას, რომ ამ დროს ორი მარჯვე ბიჭი კომბლებით და თოფებით გაემართენ ხევისაკენ, სადაც სვავი იყო, მგლების ჩასასაფრებლათ. საჩქაროთ ჩამოიჩ-ბინეს ხევში და პირქარისკენ აპირებდენ ჩასაფრებას, რომ შავათ რაღაც გამოჩნდა ლეშზე.

— ბიჭი, ფრთხილათ იყავ, მგონი მგელი მოსულა ლეშზე. ეყრ უყურებ მაგათ გათამამებას, ჯერ არც კი დალაშებულა და ესე-ნი ახლავე მოსულან, ლამის ქოხებშიაც შემოგვიცვივდენ.

— დაიცა, პაპუავ, მარჯვეთ მრვიდეთ, ველარსად წაგვივა, ერ-თი უტყუპოთ ორთავ ერთათა!

პაპუა და სოსია მუხლის კვერებით მითოფხდენ ლეშის ახლო ისე, რომ გაარჩევდა კაცი, რაც იყო, ნადირი იყო თუ ფრინველი.

— დაიცა, სოსიავ, ეგ ვერანა მგელი არა ჩანს, მგონი სხვა რაღაც არის.

— რაღა სხვა, სვავია კაცო, გამაძლარა და ველარ გაფრენილა, თორემ ამ დრომდე მაგას აქ რაღა დააყენებდა.

— თოფის სროლა არ იქნება, ხმაზე ნადირი დაფოხება, მგლები აღარ მოელენ ამაღამ. მოდი და კომბლებით გადეუხტეთ, ვიცი ვე-ლარსად წაგვივა, ჩვენი წერაა, ერთი ამოვაშხამოთ ჩვენი საქონლის ლეში!

କୋଷିଲି ଦା କୁକୁରାମ ମିଶ୍ରାର୍ଯ୍ୟସ ଇହା ତନଭେଦି ଦା କୁମିଳ୍ପଲ୍ଲେବିଟ ହାତିର୍ଯ୍ୟର୍କ ଶ୍ରୀଗ୍ରେସ.


ପ୍ରାଚୀଆ କାନ୍ସ ଶେମଲ୍ଲେଗ କ୍ରେ-କ୍ରେ କ୍ଵେବିଲ୍ ରାତା-ରାତି, କ୍ଵେଶିଲ୍ ହିରିଲା-
ଲି ଦା କୁମିଳ୍ପଲ୍ଲେବିଲ୍ ରୂପାମ-ରୂପାମ ବିମନଲା.

ଶିଶିତ ଘୁଲ-ଗାନ୍ଧେତକିଲି ଶ୍ରୀଗ୍ରେ ଦାର୍କ୍ ବିଶାରିଗିତ ମିଶ୍ରକରାଲାଯିଲା
ତାଙ୍ଗଲାଲମାରିତଥ୍ୟ, ମାଗରାମ କୁମିଳ୍ପିନ ଦିକ୍ଷେବି ବ୍ୟେଳାର୍ଦ୍ଦ୍ରିଶାଲ ହାତୁଗିଲା!

ଶ୍ରେଷ୍ଠମାର୍ତ୍ତ୍ୟୁତିଲି ଦା ମର୍ଦ୍ଦ ଦାମିତ୍ରୁର୍କ୍ଷେତ୍ରିଲି ତାଙ୍କି ମହିଳୀଙ୍କେବି
ମାର୍କଟିଲା ଶ୍ରେଷ୍ଠନାମ, ମାଗରାମ ମିମିତି ବିନା ରାଜ ଶ୍ରୀଶିନ୍ଦ୍ରପଦା.

ଶାରୀ ଶ୍ରୀଗ୍ରେଇ ଫୁଲତଥ୍ୟବିଶା କାଲେବିଶା ଶାନ୍ତିଶ୍ରେଷ୍ଠି ଦୂରକ୍ଷେତ୍ରେଇ,
ଦିକ୍ଷେବି ବିନା ଦା ମେଲିତ୍ରୁର୍କ୍ଷେତ୍ରି ଲ୍ଲେରିମ୍ବେବି ଅକ୍ଷ୍ୟାରା ତାଙ୍କି ଶାନ୍ତିଶ୍ରେଷ୍ଠିକାରୀ.

ତ. ଶ୍ରୀଶିନ୍ଦ୍ରପଦା





გ ა ნ ც ვ ი ფ რ ე ბ ა .

აფხულის დღეა. სიცხის ლული ტრიალებს. წენარი ციავი საამოთ მოსისინებს და ეთამაშება, ელევრსება მზის სიცვებს, ხის ფოთლებს, ბალახებს და შეისავან დამწყარ, გახუხულ პაწაწა... სამი წლის ელისოს ჰირი სახეს... სასიკვდილე, მთელი დღეობით ვენახებმი და ბაღებში გრია, სიცხისავან დაბრაწვია ლოუები და ფუნთუმა ტანი.

— დედი... დედილო!.. შენ გენაცვალე, წეალში ვიბანავე...ე...ბ! — ეტიტინება ელისო თავის დედას და სიცვარულით ეტოტინება მუძუებისაკენ... პაწაწა „ფეფები“ ჯერ არ გამაგრებია, ძლივს დაბაჯიბაჯებს დედამიწაზე, მაგრამ ეს იმას ხრულიათაც არ უშლის ცელქობას: კუსაებ მარჯვეთ დაფოფხავს და თოხარიკით შემოურბენს მთელ უზოს, კარ-მიდამოს, ბაღებს...

— არ მოგასვენოს ღმერთმა, შვილო! ოოგორ დადექი დედის მუცელში, შე არნაუტო, შენა! ე მანდ სადმე ჩაიხრჩობი წეალში და დაგიდგება ოკიიი!..

— არა, დედიკო, ნუ გეშინიან... ცხელა. ოა ბრის, შენ გენაცვალე... „ჭუპა-ჭუპა“ მინდა... ტიტინებს ბალლი,

ბრილა თვალები მიუპურია დედისკენ და უბრწყინავენ სიხარულით. ატეობს დედას სახეზე, ღიმილზე, სიტუვის კილზე, რომ უარს არ ეტუვის, თხოვნას აუსრულებს...

აგერ ელისო თავის უფროს დასთან არის წელის ბირას და გადასცეკერია შვენიერ ანკარა მდინარეს.. რა საუცხოვო ადგილია!.. რამდენი სხვა-და-სხვა ზისილ-პიზილებია გარშემო, წელის ნაბირზე!.. ემაკური ღიმილი უთამაშებს ელისოს ტუჩებზე. ის ხტის, სიხარულით ფეხზე აღარა დგას.

აი გახადა ტანისამოსი ელისოს უფროსმა დამ, დააწეო იქვე ბალახებზე და დაარიგა: წენარათ იჯეპი, ფეხი არ მოიცვალო, სანამ ბახაობა არ გავათავოო. ელისოსაც ეს უნდოდა... ის სიხარბით იცქირება აქეთ იქით, ეძებს გასართობ საგანს. გველგან მეუღლოება და სიჩუმეა, მსოლოთ ელისოს დის ჭუქმალაობას წმინდა წეალში, თავის ტოლ მეზობლის გოგოსთან და იმათ წიგვილ კივილს გარემო ბანს აძლევს. ელისო დაცოცავს ბალახებში, ჰკლეჯს უვალილებს, შეხარის ბუნებას.

აი ის მიცოცდა წელის ნაბირას, ჩამოჯდა სავერდივით რბილ ბალახზე და ჩაჰეთ ფეხები ცივ წეალში. რა კარგია აქ ეოფნა! ანკარა წელის ნაკადული სიცელქით გადასრიალებს მის ფეხებზე და უკრიჯებს გახურებულ სხეულს. მოკამქაშებულ ციდან მზე ალერსიანათ ათბობს და ოქონს სხივს აფრევევს ელისოს თმაზე... ელისო ზის

განცვიფრება

და ჩაწერა თათებით წიწენის ბალახებს, ფოთლებს, უვა-
კილებს, ისვრის წეალში და თვალს ადევნებს იმათ ცუ-
რიობას...

აი იმან თვალი მოჭყრა ლამაზ ჭრელ ჰეპელას, რო-
მელიც მას თავს ევლებოდა. აი კიდევ მეორე. ელისო
წაეტანა დასაჭერათ ერთ ჰეპელას, მაგრამ სად იმისი სი-
მარდე და სად ახალ ფეს ადგმული გოგონასი... —ახ,
ნეტავი დამაჭერინა ეს ჰეპელაი და! — ნატრობს ბალდი.

ელისო თავისი სიმარდით ისევ დახტის, დაცოცავს
ბალახებზე და ცდილობს არ გაუშვას ჰეპელა, მაგრამ
ერთქმა... საიდან სად! რას გახდება!.. ევლება ჰეპელა გო-
გონას თავს, მიუახლოვდება, გაშორდება, ატეუებს, აწვა
ლებს, მერე უცბათ მაღლა მაღლა მიდის და ელისო ხე-
ლებ გაშლილი, ზირ დაღებული რჩება. უცრათ ელისო
განცვიფრებული შეჩერდა, რაღამაც მიიჩურო მისი ურად-
ღება და ცნობის მოვარეობა. ის დაკვირვებით დააცემა-
და თავის ტანისამოსს... აქ მან თვალი მოჭყრა მოულო-
დნელ სტუმარს, რაღაც საშინელ მხეცს, რომელიც დასკუ-
ნებულა იმის ტანისამოსსე.

— უიმე, დედავ, რამოდენა თვალებს აბრიალებს! ერა
რჯული ტატეები აქვს! — ელისო თვალებათ გადაიქცა და
შემკრთალი, გაკვირვებული შესცეკრია საზარელ მხეცს...
ის ვერ მიმსვდარა, რა გზით დაჭიატრონებია ეს რაღაც




მხედრა, ამის ტანისამოს! მხედრიც სულ განაბუჯი დგას
და შეუბოვრათ ოვალს-ოვალში უკრის შატარა კაცუნიას;
აბა, რომელი რომელს შეაშინებსო!...

მზე ისევ ალექსანდრათ ათბობს ბაღანას... ლაშაზი
მორთული ჩემელებიც, თითქო დასცინიან და მასხარათ

იგდებენ, ისევ თავს ევლებიან ბაღანას... ბაუემა ერთი
ორი ისკუპა და ელისოს ხელზე დაჯდა... — გაიძე, დედა!
ბუამ შემჭამა, ბუამაო, — ერთი შეჭევირა ელისომ და უ-
რამალა გადაკოტრიალდა წეალმი.

ბედათ, გოგოებს ბანაობა გაეთავებინათ და ნაპირისკენ
მოდიოდენ, თორებ ჩვენი ელისო კარგათ კი იბანავებდა.

თეოფ. კანდელაკი.



მუღლის ნანა.



ნანინა, იავნანინა,
ნანინა ბაზონთ კრებულსა,
თეთრათ და მიძიბ-მიძიბათ
სახეზე ჩამწკრივებულსა.

—
ნანინა, კარღონანინა
სიცოცხლეს, გულის ღმერთასა,
სიცხისგან მიბინარებულს,
ნანინა დედის ერთასა.

—
ახლავ მოვუხმობ გაზაფხულს,
ბუნების მალთა მალებსა,
გზათ მშობლურს გრძნობებს და-
ვუჟვე
და ფიანდაზათ თვალებსა.

—
მოდიო, მოქუჩდიო, მოკროვდიო,
ტურფა ვარდნო და იანო,
ფრთებ დაწინწკლულო ჰეწელავ,
მერცხალო შორის გზიანო!

ნიავო ლადის მთებისავ
 წეაროვ ბროლ წინწკლებიანო,
 ბულბულო, ღამის მგოსანო,
 აღარც შენ დაიგვიანო!

ჩემი ჰატარა უვავილი
 ბატონებით მებავს ავათა
 და უველას ერთად გნმობილობო
 თავისთან სანახავათა.

უვავილნო, ჰირმშო, მუმუთა
 დამიტყბეთ სურნელებითა,
 ზეპელავ, გაუნიავე
 შენის ჰაწია ფრთებითა!

წეაროვ, ესხურე მკურნალათ,
 ბულბულო, მოჭეე კავანსა,
 ნიავო, წენარათ მოჭბერე
 ბატონებიან აკვანსა!

მერცხალო, ენა ხმა ტკბილო,
 შენ კიდევ გაეხმიანე,
 უთხარ, სად იუავ აქამდის,
 ან რისთვის დაიგვიანე!

ჩამოსჭიგჭიკე სამშობლოს
 ნახვა რომ გენატრებოდა,
 მაგრამ წინ ზამთრის სიცივე
 და სუსსი გეღობებოდა!

უძღერე, როგორც ნანინა
 რაც კია საგალობელი,
 აგრემც თავს შემოგევლება
 მისი დედა და მშობელი!

შ. მლეიმელი.



პატარა ლორდის თავ-გადასავალი.



მ დღეს ხევიშამს და პატარა ლორდს ხან-
გრძლივი საუბარი ჰქონდათ; მოურავი ხში-
რათ იღიმებოდა ხოლმე ამ საუბრის დროს.
ის დიდ სავარძელში იჯდა ერთი მხრით,
მეორე მხრით—ცელრიკიც ამისთანავე სა-
ვარძელში გადაწოლილიყო და ორივე ერთ-
მანეთს აკვირდებოდენ. თმა ხუჭუჭა თა-
ვი ბაეშს უკან გადაეწია, ფეხები გადაეჯვარა-
დებინა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, სწორეთ
ისე, როგორც მისტერ გომბერ იცოდა. ის
ყურადღებით უყურებდა ხევიშამს, ეს კი სულ
ფიქრობდა, რითი დაეიწყო საუბარიო. ისევ
ცელრიკმა გამოიყენა ამ მდგომარეობიდან.

— იყით! — თქვა მან. — მე სულაც არ
მესმის რას ნიშნავს სიტყვა „გრაფი“.

- ნუ თუ? — გაიკირეა ხევიშამმა.
- მართლა; და, რადგანაც გრაფი უნდა გაეხდე, მე მგონია, სა-
ჭიროა ვიცოდე, რა არის გრაფობა.
- რასაკეირველია.
- მაშ არ შეიძლება თქვენ ამიხსნათ? ვინ ნიშნავს გრაფებს?
- ხელმწიფე ან მისი ცოლი. — უპასუხა ხევიშამმა. — გრაფობას
ადამიანი რამე გმირობისათვის, დამსახურებისათვის მრიღებს ხოლმე.
- ჰო! — გაიგო ცელრიკმა. — როგორც ჩენები — პრეზიდენტობას!
- მართლა? — ჰკითხა მოურავმა. — ვანა პრეზიდენტს რამე და-
მსახურებისათვის ირჩევენ?

— ହୋଇଲା ଏହା! — ବ୍ୟକ୍ତିଗତ ଉପରୁଷଙ୍କ ପ୍ରେଫେରିକ୍‌ମା。 — ହୋଇବା କାହିଁ ମା-
ଲିବାନ କ୍ଷେତ୍ରିଲୀବା ଓ ଦାଲିବାନ ନାଶିଯାଇଲି, ମାତ୍ର କରେଥିଲେନ୍‌ତ୍ରାତ ଠିକ୍‌ହେବେନ୍。
ଦାଲିବାନ କାହାର ଦଲେସାଲିଶିଯାଇଲେନ୍ ବେଳମ୍ଭେନ୍。 ମେ ବ୍ୟକ୍ତିଗତ ଗନ୍ଧାରିବାନ୍-
ଦି କରେଥିଲେନ୍‌ତ୍ରାନ୍ତବାସ, ମାଗରିବ ଗର୍ବାନ୍ତବାଚ୍ୟ କି ଏହାବେଳେ ଏହି ଦିନ୍‌କିନ୍ତୁ
ଏହା ଏହି ବୀପିଲି, ତୁ ଏହା, ଶ୍ରୀମଦ୍‌ଭାଗବତ, ଏହିପରି ମନ୍ଦିରମେବିନା ଲା-
ଭିମାରୀ ଦ୍ୱାରା ଶିଖିଲା, ହୋଇ ହିତିଥିଲେ ଏହାମନ୍ଦିରମେବିନା ବ୍ୟେକିମାନିତ୍ଵରେତ୍ତେବିଲା।



— ଗର୍ବାତ୍ମା ବ୍ୟକ୍ତି କିମ୍ବା ଏହାରେ କିମ୍ବା ଏହାରେ କିମ୍ବା ଏହାରେ କିମ୍ବା

— ଏହା ଗନ୍ଧାରିବାକୁ କିମ୍ବା ଏହାରେ କିମ୍ବା ଏହାରେ କିମ୍ବା ଏହାରେ
କିମ୍ବା ଏହାରେ କିମ୍ବା ଏହାରେ କିମ୍ବା ଏହାରେ କିମ୍ବା ଏହାରେ କିମ୍ବା ଏହାରେ
କିମ୍ବା ଏହାରେ କିମ୍ବା ଏହାରେ କିମ୍ବା ଏହାରେ କିମ୍ବା ଏହାରେ କିମ୍ବା ଏହାରେ

— ଗର୍ବାତ୍ମା—ଦାଲିବାନ ଦିନି କିମ୍ବା! — ଦାର୍ଶନିକ ମାନ୍ଦିଲି

— କରେଥିଲେନ୍‌ତ୍ରାପି! — ଦାର୍ଶନିକ ପ୍ରେଫେରିକ୍‌ମା。 — ହୋଇବା କିମ୍ବା ଏହିହେବେନ୍,
ମଞ୍ଚିକ୍ଯାଶାପ ଉପରୁଷଙ୍କ ଦା ଶ୍ରୀମଦ୍‌ଭାଗବତ ଉପରୁଷଙ୍କ ବେଳମ୍ଭେନ୍。 ମିଳିତ୍ରେ
ବେଳମ୍ଭେନ୍ କିମ୍ବା ଏହାରେ କିମ୍ବା ଏହାରେ କିମ୍ବା ଏହାରେ କିମ୍ବା ଏହାରେ

— გრაფი, — ისევ დაიწყო ხევიშამმა. — ძეელებური შთამომავ-
ლობის უნდა იყოს.

— ეგ რაღას ნიშნავს?

— იმას, რომ მისი გვარი დიდი ხნის უნდა იყოს.

— ჰოო! — უთუოთ როგორც ის ვაჭარი ქალი, რომელიც ბალ-
ში ვაშლებს ჰყიდის. მე მკონია, მისი გვარი ძალიან ძეელებური
უნდა იყოს; ისეთი ჯიდი ხნის არის, რომ მიკვირს, ფეხზე როგორ-
ლა დგას. ასი წლის იქნება, მაგრამ ყოველთვის ბალშია, როცა წვიმს,
გაშინაც. ძალიან მეცოდება. ჩემ ამხანავებსაც ეცოდებათ. ბილი ვი-
ლიამს ვიღაცამ ფული აჩუქა და მე შევეხვეწე, ყოველ დღე ვაშლი
ეყიდა იმ ქალთან, მაგრამ მას მალე მოწყინდა. მაგიერათ როცა მე
მაქვს ფული, სულ მასთან ეყიდულობ ხოლმე. ისეთი მეცოდება!
ისეთი ღარიბია და ისეთი ძეელებური შთამომავლობის!

ხევიშამი სულ დაიბნა, ბავშის უმანქო სახეს რომ ხედავდა.

— თქვენ ვერ გაიგეთ! — თქვა მან. — ძეელებური შთამომავლო-
ბა სიბერეს კი არ ნიშნავს. ძეელებური შთამომავლობა ნიშნავს
ოჯახს, რომელიც რამოდენიმე ასი წლის წინეთ იყო კიდევაც ცნო-
ბილი.

— როგორც ჯორჯ ვაშინგტონი. — შენიშნა ცელრიკმა. — რაც
დავიბადე, მას აქეთ გამიგონია გასჩე, მაგრამ მანამდისაც იყო ცნო-
ბილი. მისტერ გობსი ამბობს, მას არაოდეს არ დაივიწყებენო, იმი-
ტომ რომ ამერიკა გაანთავისუფლა, ხომ რცით? რა გულადი კაცი
იყო!

— პირველმა დორინკორტმა გრაფობა მიიღო ოთხის წლის
წინათ! — გარკვევით წარმოთქვა ხევიშამმა.

— უჟ! რა დიდი ხანი გასულა მას აქეთ! იცის თუ არა ეგ
„ძეირფასმა?“ თუ არ იცის, ძალიან ესიამოვნება მაგის გაგება, ძეე-
ლებურ საგნებზე ლაპარაკი ძალიან უყეარს. რას მეტყვით კიდევ
აფებზე?

— ბევრი მათგანი ხელმწიფებს ეხმარებოდენ მართვაში. ზო-
გი გულადი მეომრები იყვენ.

— მეც მინდა, მეომარი გაეხდე. შამაჩემი მეომარი იყო და ძალიან გულაზიც, როგორც ჯორჯ ვაშინგტონი. იმიტომ ხომ არ უნდოდათ, რომ გრაფობა მიეცათ? რა მიხარია, გრაფები რომ გულადები არიან. მე უწინ ბნელი ოთახის მეშინოდა, მაგრამ როცა წავიკითხე, რა გულადათ იბრძოდენ ჯარის კაცები ამერიკის გასანთავისუფლებლათ — მშეშრობას თავი დავადწიო.

— გრაფებს სხვა სიკეთეცა აქვთ; — წყნარათ თქვა ხევიშამმა და ჩაკვირდა ბავშის სახეს. — ზოგი მათგანი ძალიან მდიდარია.

მოურავს უნდოდა დარწმუნებულიყო, ესმის თუ არა ცელრიქს, რა არის სიმღიდრე.

— კარგია, როცა ბევრი ფული გაქვს. — გულუბრყეილათ თქვა ცედრიკმა. — ნეტავი მდიდარი ვიყო!

— მართლა? რათ გინდათ მერე ფულები?

— იმიტომ რომ ბევრი რამეს გაკეთება შეუძლია აღამიანს, როცა ფულები აქვს. აი, აეილოთ თუ გინდ ის ბებერი ვაჭარი ქალი. მდიდარი რომ ვიყო, ვუყიდიდი მას პატარა კარავს, საცა ის თავის გაშლების გობა დადგამდა ხოლმე, ვუყიდრდი აკრეთვე მაყალს და ყოველ დილა თითო დოლლარს *) ვაჩუქებდი. დიდ, თბილ მოსახურავსაც ვაჩუქებდი მისი ბებერი ძელების გასათბობათ. ჩევნისთანა ძელები კი არა აქ იმას, როვორც გაინძრევა, მაშინვე ეტკწერა ბა ხოლმე. მე მგონია, ყველა ეს რომ ვუყიდო, ძელები მოურჩება! ვე! — ჩახველა ხევიშამმა. — კიდევ რა! იზამდით, ფული რომ გქონდეს?

— უა! კიდევ ბევრ რამეს! ჩემ „ძეირფუსს“ ჩასაკვირველია სხვა-და-სხვა რამეებს ვუყიდიდი, ხელ-საქმის ყუთს, მარაოს, ოქროს სა-თითეს, ბეჭდებს, წიგნებს და ეტლს. ვარდის ფერი რომ უყვარდეს ვარდის ფერ აბრეშუმის კაბას ვუყიდიდი, მაგრამ იმას მარტო შევ უყვარს. შევიყვანდი დიდ მაღაზებში და რასაც ამოიჩინევდა, ყველაფერს ვუყიდიდი... მერე დიკი...

*) დოლარი — 1 მან. 32 გრ.

— დიკი ეინ არის?

— დიკი წალების მწმენდელია. ქუჩაში დგას, იქით, ქვეითკენ და ყველაზე უკეთ უწმენდს გამელელ-გამომელელებს ფეხსაცმლებს. დიდი ხანია, რაც ვიცნობ. ერთხელ „ძეირფასმა“ უშველებელი ბურთი მიყიდა, ავაგდე ზევით და ის შუა ქუჩაზე დავარდა, ცხენებსა და ეტლებს შორას; მე ტირილი დავიწყე, — მაშინ სულ პატარა ვიყავი, — დიკი ვიღასაც წალებს უწმენდდა. დაიძახა უცებ: „ხო, ხოო!“ შეუვარდა ცხენებს ფეხ-ქვეშ, აიღო ბურთი, გაწმინდა და მომრტანა. „ძეირფასს“ ძალიან იამა და მეც გახარებული ვიყავი. მას აქეთ, როცა იქითკენ დაესეირნობთ, ყოველთვის ველაპარაკებით ხოლმე დიკს, ის გვიამბობს თავის მდგომარეობაზე... ვერ არის კმაყოფილი.

— მერე რას იზამდით მის გასაბეჭნიერებლათ? — ლიმილით შევყითხა მოურავი.

— რას? — დაფიქრებით გაიმეორა ლორდ უაუნტელროიმ და სახე მოეღუშა. — ჯეკისაგან გამოვიყიდდი.

— ჯეკი ეინ-ლა არის?

— მისი მოზიარე, ძალიან აეი კაცია. ის ცრუა და ამითა დაკი ძალიან შეწუხებულია. თქვენც შეწუხდებოლით, თქვენ რომ პატიოსნათ წმენდდეთ წალებს, თქვენი მოზიარე კი ყველას ატყუილებდეს. ყველას უყვარს დიკი და ყველას ძულს ჯეკი. ფული რომ მქონდეს, გამოვიყიდდი დიკს, ეუშოვნიდი მოწმობას, — ის ამბობს, მოწმობა ძალიან კარგი არისო, — ეუყიდდი ახალ ტანისამოსს და ყველაფრით კარგათ მოვაწყობდი.

მომხიბლავი გულუბრუვილობით უამბობდა ყველა ამას პატარა ლორდი მოურავს და დარწმუნებული იყო, რომ ის გატაცებულია მისი ამბებით. და მართლაც, მისტერ ხევიშამი თან-და-თან უფრო იაყირვებული და გატაცებული იყო, მაგრამ ვაჭარი ქალი და დიკით კი არა, ის გატაცებული იყო ამ პატარა, თმა ხუჭუჭა ვაჭით, რომელსაც თავის თავი ავიწყდებოდა და მარტო თავის მევობრები ახსოვდა.

— კიდევ რას მოინდომებდით? — ჰეითხა მოურაემა. — რას მოინდომებდით თქვენთვის?

— ძალიან ბევრ რამეს! — ცქაიტათ უპასუხა ცედრიკმა. — ერთი რომ მივცემდი ფულს მერის დას, ბრიჯეტს, რომელსაც თორმეტი შეილი და ავათმყოფი ქმარი ჰყავს. ის ხშირათ მოდის ხოლმე ჩვენთან და ტირის. „ძეირფასი“ ყოველთვის აძლევს საჭმლით საესე კალათს, ის კიდევ ატირდება ხოლმე და ეუბნება: — ღმერთმა დაგლოცას, შეენიერო ქალბატონოვ!“ ამას გარდა მისტერ გობსსაც ძალიან იამება, ჩემ სახსოვრათ ოქროს საათი და ჩიბუხი რომ ვაჩუქო და მერე... მერე მე მოვინდომებდი კრების გამართვას.

— რა კრებისას?

— ისე, როგორც დიდები მართავენ ხოლმე. — ალელევებით აუხსნა ცედრიკმა — ყველა ვაჟები და მე სამხედრო ტამისამოსს ჩაეი-ცვამდით, ხელში ლიფლიფებს დავიკავებდით, მწყობრათ ვივლიდით და ვიყვირებდით!.. აი, რას ვიზამდი ჩემთვის!

ამ ღროს კარი გაიღო და ქალბატონი ეროლი შამოვილა.

— უკაცრავათ, თავი რომ დაგანებეთ! მიუბრუნდა ის მოურავს. — ჩემთან ერთი ღარიბი, ძალიან უბედური ქალი მოვიდა...

— მე ამ ახალგაზდა ვაჟბატონმა ძალიან შემიქცა უთქვენოთ. ამან გამაცნო თავის მეგობრები და მიყობოდა, რას იზამდა, მდიდარი რომ ყოფილიყო. **აუგა**

— ბრიჯეტიც მაგის მეგობარია, — შენიშნა ქალბატონმა ეროლმა. — იმას ველაპარაკებოდი ახლა სამჩარეულოში. ძალიან შეწუხებულია, მისი ქმარი ცხელებით არის ავათ.

ცედრიკი საეარძლიდან ჩამოსრიალდა.

— გავიძლევი და ვკითხავ, უკეთ ხომ არ არის ახლა. ისეთი კარგი კაცია და ისეთი ნიჭი აქვს, ერთხელ ხის ხმალი გამიყეთა!

ცედრიკი გავარდა ოთახიდან, ხევიშამი ადგა; ეტყობოდა, რაღაცა, თქმა უნდოდა, მაგრამ ეკრანებდა.

— დორინკორტიდან წამოსულის წინათ,— დაიწყო მან ბოლოს, — გრაფი მომელაპარაკა და მიბრძანა, გამომეცხადებია პატარა ლორდისთვის, რომ ის ამიერიდან ძალიან მდიდარია. მე მონდობილი მაქეს, ყოველივე სურეილი აეუსრულო ბავშვს და კუთხრა, რომ ყველა ეს ბაბუა მის-ს საჩუქარია. თუ ლორდს ე'იამოენება, შეუძლია შეეწიოს მაგ ქალს. გრაფს ეწყინება, მისი შეიღი შეიღის პირველი სურეილი რომ არ აკასრულო.

ეს მეორეთ იყო, რომ ხევიშამა სხვა ნაირათ ხსნიდა გრაფის სიტყვებს. აი, რა უთხრა გრაფმა მას: გააგებინეთ პატარას, რომ რა-საც მოინდომებს, ყველაფრის ასრულება შემიძლია. კარგათ აუსხენით, რას ნიშნავს გრაფ დორინკორტის შეიღი შეიღობა. უყრდეთ, რაც მოინდომოს, აუგვით ჯიბები იქროთი და უთხროთ, ეს ბაბუა შენის საჩუქარიათქმა.

ქალბატონმა ეროლმა იფიქრა, საცოდავ, მარტო მიტოვებულ მოხსუს უნდა გააბეღნიეროს შეიღო, ძალიან იამა, რომ ცედრიკს შეეძლო დახმარებიდა უბედურ ბრიჯეტს, და, ამ ნაირათ, თავისი ახალი ცხოვრება კეთილი საქმით დაეწყო. სიხარულისაგან ის მთლათ გაწითლდა და აღტაცებით წამოიძახა:

— ოკ, რა კარგი გულის აოის გრაფ დორინკორტი! რა გაეხარ-დება ცედრიკი! ისეთი უყვარს ბრიჯეტი და მისი ქმარი, ლიჩისიც არიან სიყვარულის! საკეთოები პატიოსანი და მშრომელი არიან ორაეე. რასაც ახლა მიიღებენ, ტყუილათ არ დახარჯავენ!..

ხევიშამშა ჯიბიდან ფულ-ს დიდი ქისა ამიოღო. მისმა სახემ რაღაც სხვანაირი გამომეტყველება მიიღო; ის ფიქრობდა, რას იტ-ყვის ნეტავი ამაყი, უგულო გრაფ დორინკორტი, როცა თავის შეი-ღიშეიღის პირველ სურეილს გაიგებსო.

— თქვენ შეიძლება არ იცით, — მაუბრუნდა ის ქალბატონ ერ-ოლს, — რამდენათ მდიდარია გრაფ დორინკორტი. ყოველი თავ ს სურეილის ასრულება შეუძლია და იამება, თუ ლორდსაც ყველაფე-რი აეუსრულე. გთხოვთ, დაუძახოთ პატარა ლორდს, ოც და ხუთ დოლარს მიუცემ ავათმყოფისათვის.

— ნუ თუ ეს შესაძლებელია? — წამოიძახა ახალგაზდა ქალმა — ეს ხომ მთელი სიმდიდრეა მაგათთვის!

— სწორეთ! — უპასუხა ხევიშამშა. — დაიდი ცვლილება მოხდება

თქვენი შეილის მდგომარეობაში, დიდი ძალა ექნება ამიერიდან ხელში!

— აა! — მწერარეთ ამოიახჩა ახალგაზდა დედამ! — როგორ უნდა ვასწავლო მაგ ძალის მოხმარება! ჯერ ისეთი პატარა არის ჩემი ცეკვი, მეშინია!..

ხევიშამა ჩახეველა. მას გული აუჩუყდა, ქალის ლამაზ, ნაზ და შიშის გამომხატავ თვალებს რომ შეხედა.

— ჩეენ ლაპარაკიდან დაერწმუნდი, რომ მომავალი გრაფ დორინ კორტი არც სხვას დაიიღწყებს და არც გაფუჭდება. ჯერ ბავშია, მაგრამ ახლავე ეტყობა, რაც იქნება მომავალში.

ქალბატონი ეროლი გავიდა ოთახიდან ცელრიკის მისაყვანათ. მოურავს შორიდანვე მოესმა ბავშის ხმა, რომელიც დედას ეუბნებოდა:

— ბრიჯეტი ამბობს, ჩემ ქმარს უფულობა აწუხებს და უარ კეცებს აეათმყოფობასო. უფროს ვაჭს რომ ტანისამოსი ჰქონდეს, დუქანში მიებარებოდა და მათი საქმე უკეთ წავიდოდა...

ხევიშამა შენიშნა, რომ ბავში დაღონებული სახით შამოვიდა ოთახში.

„ძეირფასმა“ მითხრა, რომ მიძახოდით, მისტერ ხევიშამ. — მიუბრუნდა ის მოურავს.

— გრაფ დორინკორტმა... დაიწყო მცირე ყოყმანის შემდეგ მოურავმა, და შეჩერდა; არ იცოდა, როგორ ეთქვა. ახალგაზდა დედამ უცებ დაიწოქა შეილის გვერდით, ნაზათ მოხვერა მას ხელები და უთხრა:

— ცვდი! შენი ბაბუა ძალიან, ძალიან კარგი გულის არის. იმას უყვარხარ და უნდა, რომ შენც გიყვარდეს; უველა შეილები მოუკედა; ახლა უნდა, რომ შენ ბელნიერი იყო და სხეაც გაახედნიერო; ასე უთხრა მისტერ ხევიშამს და ბევრი ფული მისცა შენთვის. თუ გინდა, შეგიძლია მისცე ბრიჯეტს, გადაუხადო მათ სადგომის ფასი და უყიდო მის ქმარ-შეილს ცველაფერი, რაც ეჭირვებათ. რა კარგია! არა, ცვდი?

დედა კოცნიდა პატარა ლორდს, ის მთლათ აინთო და ხან მას უყურებდა, ხან ხევიშამს.

— არ შეიძლება, ახლავე მიეიღო ფული? — იკითხა მან. — ახ-

ლავე მიეცემ, თუ არა წავა... ხევიშამბა ოცდა ხუთი დოლარი
მიაწოდა, ცედი მაშინვე გარეთ გავარდა.

— ბრიჯეტ! ბრიჯეტ! — აღტაცები შევარდა ის სამზარეულო-
ში. — აი ფულები! წაილეთ! ბაბუამ გამომიგზავნა. ეს თქვენ და თქვენ
ქმარს!..

— ომ, მისტერ ცედი! — შეშინებით წამოიძახა ბრიჯეტმა. — ეს
ხომ ოცდა ხუთი დოლარია! სად არის დედა თქვენი?

— მე წავალ, აუტხსნი ყველაფერს! — თქვა ქალბატონმა ეროლმა
და გავიდა ოთახიდან.

მისტერ ხევიშამი მიუახლოვდა ფანჯარას და ღრმათ ჩაფიქრდა.
მან დაწერილებით იცოდა ყველა ჩევეულება ავი, უკულო გრაფის
და ახლა, ფანჯარასთან, ადარებდა მის და მის შეილი-შეილის ცხოვ-
რებას!.. აქ უბრალო, თითქმის ლარიბი სახლი, მაგრამ შევნიერი
დედა, ანგელოზი — ბაეში, რომელიც სულ თავის მეგობრებზე
ჰუიქრობს... იქ კი?.. რა განსხვავებაა!

ცედრიკი და მისი დედა ჩალე დაბრუნდენ. ბავში ძალიან გახა-
რებული იყო, ჩაჯდა დედასა და მოურავს შეუ და აღელვებით
უამბობდა მათ, რა ბედნიერია ახლა ბრიჯეტი.

— ის ძალიან ტიროდა, თქვა, სიხარულისაგანო. მე არაოდეს
არ მინახავს, რომ ადამიანი სიხარულისაგან ტიროდეს. რა კაი გუ-
ლის არის ბაბუა ჩემი! არც ვიცოდი, თუ გრაფობა ასე კარგი იყო!
თითქმის მიხარია, თითქმის ძალიან მიხარია, რომ ერთ დროს მეც
გრაფი ვიქნები!

III.

გ ა მ გ ც ა ვ რ ე ბ ა.

ცედრიკი სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ გრაფობა
ძალიან კარგი იყო; დიდხანს არ ჯეროდა, რომ შეუძლია ყველა თა-
ვისი სურვილი დაიქმაუთვილოს, ძლიეს ჩაგონა ხევიშამბა, რამდე-

ნიც გინდა, იმდენი ფული გექნებაო. ინგლისში წასვლის წინეთ მას არც დიკი დატიწყებია და არც „ძელებური შთამომაცლობის“ გაჭარი ქალი; ბაეშმა სიხარულით გამოუტადა ბებერს, კარავი, მაყალი, თბილი მოსახურავი და ფული გექნებაო.

— მე ინგლისში მივდივარ და ლორდი გავხდები. — უთხრა მას ცელრიქმა. — და არ მინდა რომ ძელები გტკიოდესთ. მე თითოო არაოდეს არ მტკივა, არც ვიცი, რანაირია ძელების ტკივილი, მაგრამ მეცოდებით და მინდა, რომ კარგათ იყეთ.

სიხარულისაგან და მოულოდნელობისაგან ბებერმა
ხმაც ვერ ამოიღო.

— თქვენ ვერც კი წარმოიღენთ, რა კარგი გულის ქალია; — თქვა ცელრიქმა, როცა ის და ხევიშამი სახლში ბრუნდებოდენ, — ერთხელ მე დავეცი და უეხი ვიტკინე, მაგან მაშინ ვაშლი მაჩუქა. ამას არაოდეს არ დავივიწყებ, ან კი შესაძლებელია, კატმა კეთილი საქმე დაივიწყოს?

დიკისა და ცელრიკის შეხედრა ძალიან საგრძნობელი იყო; იმ დღეს ჯეკს ძალიან ეწყენინებინა დიკისთვის და ეს უკანასკნელი დალონებული, დალერემილი იდგა თავის ჩეკულებრივ ალაკას. ძნელი წარმოსადგენია, როგორ განციფრდა პატარა — წალების მწერდელი, როდესაც ცელრიქმა გამოუტადა, ჯეკისაგან უნდა გამოგიყიდოო. მიხ-



პატარა ლორდი

35

ტერ ხევიშამი ცოტა შოშორებით იღვა და გაკვირვებით ისმენდა, რა დალაგებით უხსნიდა ყველაზერს თავის მეკობარს პატარა ლორდი. ცედრიკის მომავალმა გრაფობამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა დიჭე, რომ მას თავიდან ქუდი გადაუყარდა და თვალებ გამოჰყეტილი, პირ ლია გაუკვებრათ იღვა.

— არა, მართალს ამბობთ ყველა მაგას? — ჰერი მან ბოლოს.

პატარა ლორდს შეტკვა, მაგრამ მალე ღიმილით უპასუხა:

— ჯერ შენსაეით არავინ მიჯერებდა, მისტერ გობსს ისიც ეგონა, რომ ჭკუაზე შეეიშალე! მე არ მინდოდა გრაფობა, მაგრამ ახლა ძალიან მიხარია; ბაბუა ჩემმა, გრაფმა, ნება მოშპა, ყოველი სურვილი ავისრულო. ის ძალიან კარგი გულის არის და ბევრი ფული გამომიგზავნა მისტერ ხევიშამის ხელით. ახლა იმდენი მოგიტანე, რამდენიც ჯეკილან თავის გამოსაყადლათ გვიჩდება.

საქმე მითი გათავდა, რომ დიკმა მოზიარესაკან თავი დაიხსნა და საჩუქრათ ახალი ტანსაცმელი და ახალი წალების საწმენდი მიიღო. ზებერ გაჭარსავით არც იმას ჯეროდა თავის ბეღნიერება და ვერც ის იღებდა ხმას. მხოლოდ მაშინ მოეიდა გონზე, როცა ცედრიკმა გამოსათხოვრათ ხელი გაუშეირა.

— შეიდობით! — უთხრა პატარა ლორდმა და ხმა აუკანკალდა, თაფლას ფერ თვალებში ცრემლები მოადგა, — გისურვებ, რომ შენი საქმე კარგათ წავიდეს. მე მწყინს თქვენი დაშორება, შეიძლება დავბრუნდე აქ, როცა გრაფი გაეხდები. მომწერე ხოლმე წერილი, აი, ჩემი ბინადრობა. — და ბაქშმა ქალალდი მიაწოდა. — მე ცედრიკ ეროლი აღარ მქეია, მე ახლა ლორდ ფაუნტელრი ვარ. შეიდობით, დიკ!

დიკმა თვალები აპარპალა; უნდოდა ეთქვა რამე, მაგრამ სიტყვაც ვერ მოახერხა, ყელში თითქოს რაღაც გაეხირა.

— ძალიან მწყინს, რომ მიდიხართ! — ამოილო მან ბოლოს ხმა და ისევ აპარპალა თვალები. მერე მიუბრუნდა მოურავს და ქუდი მოუხადა. — მადლობელი ვარ, მისტერ, რომ ნება მიეცით, მე გავე-

ბედნიერებინე. ცედი კარგი ბაეშია, მე ყოველთვის ვამბობდი,
რომ ცედი ძალიან კარგი ბაეშია!

დიდხანს უყურებდა დიკი სახლში მიმავალ ხევიშამს და პატარა
ლორს და უნებური ცრემლები უბრწყინვდა თვალებში.

ინგლისში გამგზავრების დრო ახლოვდებოდა. უკანასკნელ
დღეებში ცედრიკი ხშირათ დადიოდა ხოლმე გობსთან, რომელიც
ძალიან დალონდა, როცა გაიგო, რომ მათი დაშორების დრო მო-
დიოდა. სახსოვრათ ცედრიკმა თავის მეგობარს დიდი ოქროს საათი
აჩუქა. გობსმა თავის უწველებელ მუხლზე დაიდო საათი, ამოილო
ცხეირსახოცა და რამდენჯერმე მოიხოცა ცხეირი.

— გაალეთ საათი! — უთხრა ცედრიკი. — სახურავზე შიგნილან ეს
სიტყვებია ამოჭრილი: მისტერ გობსს მის ძევლის ძევლ მეგობარ
ლორდ ფაუნტელროისაგან. მე თვითონ ამოვაჭრევინე. როცა დახე-
დათ ხოლმე, ყოველთვის მე გამიხსენეთ. არ მინდა, რომ დამიერწ-
ყოთ.

მისტერ გობსმა ისევ მოიხოცა ცხეირი.

— მე არაოდეს არ დამავიწყდებით! — დაბნევით უპასუხა მან. —
საჭმე იმაშია, თქვენ არ დამიერწყოთ, როცა ინგლისის დიდ კაცებ-
ში ჩაერევით.

— სადაც უნდა ვიყო, ყოველთვის მემახსოვრებით! — უპასუხა
პატარა ლორდმა. — იმედია, მნახავთ ინგლისში, ბაბუას უთუოთ ია-
მება თქვენი გაცნობა. თითონაც დაგპატიჟებთ, როდესაც ყვე-
ლაფერს გაიგებს. თქვენ... თქვენ ხომ არ გწყენთ, ის რომ
გრაფია? მე მინდა გყითხოთ, უარს ხომ არ შამოუთვლით დაპატი-
ჟებაზე, რადგანაც გრაფია?

— არა, თქვენი გულისთვის მოვალ! — მოლბა მისტერ გობსი.

და მეგობრებმა გადაწყვიტეს, რომ, როგორც კი მიიღებს ვობ-
სი გრაფ დორინკორტისაგან დაპატიჟების ბარათს, მაშინვე ჩალავებს
თავის ბარგს და რამდენიმე თვით გაემგზავრება ინგლისისაკენ.

წასელის დღეც დადგა. ბარგი გაგზავნილი იყო ხომალდზე,

ეტლი სახლის წინ იდგა... გაუგებარი სევდა მოყვიდა ბავშის გულს; დედა მისი თავის ოთახში ჩაიკეტა და როცა იქიდან გამოიდა, თვალები ნამტირალევი ჰქონდა, ვარდის ფერი ტუჩები უთროთოდენ... ცედრიკმა მიირბინა მასთან და დედაშეილი მხურეალეთ გადაეხვინ ერთმანეთს; ის თითქო მიმშედარიყო, რატომ დაღონდენ არიყე და გულმა ათქმევინა ეს სიტყვები:


— ჩვენ გვეყვარდა ჩვენი პატარა სახლა, „ძეირფასო“!.. ყოველ-თვის გვეყვარება, არა?

— კი, კი ჩემი კარგო! — ნელი ხმით უპასუხა ახალგაზდა ქალმა. როდესაც ეტლში ჩაჯდენ და ნაეთ — სადგურისაკენ წავიდენ, ის ფანჯარაში გადმოეყუდა და უკანასკნელათ გადააფლო თვალი თავის სადგომს. ცედრიკმა სტაცია მის ხელს ხელი და მაგრათ ჩაიკრა გულში.

იმათ ვერც კი შენიშნეს, როგორ გაჩნდენ ხომალდის ბანზე; იქ ყველა ირეოდა; ყველა ჩქარობდა, ყველა ეშურებოდა... მეზღვე-ვები თოკებს ალავებდენ, უფროსები ბრძანებას სცემდენ... დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზდა, ყველა საიდანლაც ამოდიოდა ბან-ზე, ზოგი იცინოდა, ტიტინებდა, ზოგი კი დაღონებული და გაჩუ-მებული იყო; ორი სამი კიდეც ტიროდა და ცხვირსახოცით იწმენდ-და თვალებს. ცედრიკს ყველაფერი ეხალისებოდა; ის ყურადღებით ათეალიერებდა ხომალდს, თოკებს, დაკეცილ აფრებს და ბანზე ამარ-თულ მაღალ სარებს, გაეცნო და დაუმეგობრდა მეზღვევებს და მალე გააბა მათთან საუბარი ზღვის ყაჩალების შესახებ.

წასვლამდის ორი წამი და იყო. ცედრიკმა უცებ შენიშნა, რომ ხალხში ვიღაც მისკენ მოეშურება. ეს პატარა წალების — მწმენდელი დიკი იყო, რომელსაც ხელში რაღაც წითელი ეჭირა.

— მინდოდა ერთხელ კიდევ გამოგთხოვებოდი... სულ მოერბო-დი... მინდოდა, სახსოვრათ ეს ცხვირსახოცი მეჩქებინა თქვენთვის... იქ, ქვეით არ უნდოდათ ჩემი გამოშეება, მაგრამ მე მაინც ამო-ვედი...



ის ძლიერ ლაპარაკობდა, დაღალვით სულსაც ვეღარ ითქვამდა, ამ დროს ზარმა დარეკა. დიკი უცბათ უკან გაიქცა, ისე რომ ცელ-რიკმა სიტყვის თქმაც ვეღარ მოასწრო.

— შეიდობით! — შორიდან მოესმა ისევ ცელრიკს დიკის ხმა. — იხმარეთ ხოლმე ეგ ცხეირსახოცი, როცა დიდკაცებს შორის იქნეთ!

და დიკი გაჰქრა. ცედრიკი ხედავდა, რომ მან გადირბინა ხომალდის ფიცარზე სწორეთ იმ დროს, როცა ამ ფიცრის აღებას აპირებდენ. მერე დიკი ნაპირზე გაჩერდა და ქუდის ქნევა დაიწყო.

ცედრიკმა სწრაფათ გაშალა ცხვირსახოცი. ეს წითელი აზრებუმი იყო და ზედ ცხენის თავები და ნალები ეხატა.


პატარა ლორდი წინ წამოიწია, გააქნია ცხვირსახოცი და ხმა მაღლა დაიძახა:

—შეიდობით, დიკ, მადლობელი ვარ, შეიდობით!

ხომალდი დაიძრა. ქალბატონმა ეროლმა თავის პირბადე ჩამოუშვა. ნაპირზე ხალხი იჩეოდა, მაგრამ დიკი ვერაფერს ხედავდა, ვერას ამჩნევდა. ის მხოლოთ შორიდან მიშტერებოდა ბაეშის უმანკო სახეს, მის გაწეშილ ოქროსფერ, მშით გაბრწყინვებულ თმას და ესმოდა, როგორი სიყვარულით უძაბოდა მას „შეიდობით“-ო ლორდ ფაუნტელროი, პატარა ლორდ ფაუნტელროი, რომელიც ცილდებოდა თავის სამშობლო ქვეყანას და მიღიოდა შორს, შორს, თავის წინაპართ სამშობლოში.

— გო.

(შემდეგი იქნება)



რაგდენიშვილის სურათი

იხვთა ცხოვრებიდან.



ისაც თვალი უდევნებია იხვთა ცხოვრებისათვის, ბევრ საინტერესო ამბებს მოგვითხრობს. ჩვენ ქართველებში კარგი მონადირე შეიძლება მრიელ ბევრი იუს, მაგრამ იმ გვარი კი, რომელიც

ერთსა და იმავე დროს ცხოველთა და ფრინველთა ცხოვრებას თვალ-უურს აღევნებდეს და ავეიწერდეს, სულაც არ მეგულება, ამიტომ ისევ რუსის მწერალს დავუგდოთ უური.

აი როგორ ავეიწერს იხვთა ცხოვრებას ცნობილი რუსის მწერალი აქსაკოვი, რომელიც თითონვე გატაცებული მონადირე იყო და განგებ თვალ-უურსაც გადაეცებდა და ფრინველთა ცხოვრებას.

მეტათ საგულისხმოა, მამალ იხვს რარივ თხაგანწილებათ უევარს თავის მეუღლე! იმავე დროს კი საშინლათ ემტერება თავისავე დედალი იხვის ბუდეს, მის კვერცხებს და ჭუჭულებს. თუ რომ მიაგნო და იპოვნა მისი ბუდე, წამსვე მიანგრ-მოანგრევს და ბუდეში რასაც იპოვის, კვერცხები იქნება თუ გამოჩეკილი ჭუჭულები, უელაფერს ანა-

დგურებს — კვერცხებს სეამს, ამოსრუტავს ხოლმე ან ნის-
კარტით ჩაამტკოეს და პაწაწა ჭუჭულებს კი უკელას
ახრჩობს. ხომ ასე უსამართლოთ, მტრულათ ეჭრობა მა-
მალი იხვით თავის ჩამომავლობას, მაგრამ დედალი კი ისე
გაგიუებით უჟღარს, რომ მის დღეში არ მოძოლდება; ერ-
თი წამი რა არი, ერთ წამსაც ვერ ძლებს, ოუ მეუღლეს
არ ეჭრებულება, თავს არ ევლება. რაც უნდა გაჭირვება
შეემთხვეს, ჰირველი არ აფრინდება ადგილიდან, ვიდრე დე-
დალი არ დაიძვრის. ხშირათ მოხდება, რო დედალი სადმე
ჰატარა გუბეში ჭუჭალაობს, მამალი იხვით კი განუშორე-
ბლათ, დარაჯივით ზის იქვე ნაპირას ას ქვაზე ან ჩირგვ-
ზე; ამ დროს მონადირე უახლოვდება მათ თოვის სას-
როლზე, მაგრამ დედალი ვერ ჭხედავს, ან ვერაფერს ამჩ-
ნევს, მამალი კი ტრიბუნალ-ფორსალს იწევს, ევირის, თი-
თქოს ნიშნეულათ ხმას აძლევსო, რადგან ნამდვილათ ჭხე-
დავს მათვენ მომავალ მტერს, მაგრამ შენც არ მომიკვდე,
დედალი არაფრათ აგდებს. აგერ აშკარათ ჭხედავს მამა-
ლი, რომ მონადირემ მას თოვი დაუმიზნა, ნიშანში ამო-
იღო, მაგრამ დედალზე აღრე მაინც არ აფრინდება — სიკვ-
დილს ირჩევს და თავის საუვარელი მეუღლის მოძორებას კი
არა. აგერ იგრიბალა დაუნდობელმა მტრის თოვმა და ერთგუ-
ლი მეუღლე იქვე გაგორდა. დედალი იხვით თოვის ხმაზე
წამსვე თავს უშეველის ხოლმე და ცალი თვალითაც არ
დაჭხედავს მის შსხვერპლს, მისთვის მოყლულ მეუღლეს.

სულ სხვა სურათია, თუ რომ მონადირებ დედალი
იხვი მოჰყლა; მაშინ მამალის ცოდვით ქვეყანა იწვის —
ჯერ თავს დასტრიალებს მონადირეს, გულსაკლავათ დაჭ-
კივის და მერე რაძღენსამე დღეს განუწივეტლათ დასტრი-
რის იმ ადგილს, სადაც საუფარელი მეუღლე მოუკლეს.

**

ახლა წარმოიდგინეთ, რამდენი სიფრთხილე და ხერხი
ჭმართებს დედალ იხვს, რომ თავისთვის ბუდე მოაწეოს
და მეუღლის მალულათ კვერცხები დასდოს, ჭუჭულები
გამოჩეკოს! ჯერ სადმე იმისთანა მიფარებულ ადგილას
იმზადებს ბუდეს, საიდანაც გაჭირვების დროს გაქცევა-
დამალება შეეძლოს; ამისთანა სახერხო ადგილათ კი უფ-
რო გუბის ანუ ტბის ნაპირს ირჩევს. აგრ დაუდგა
დრო დედალ იხვს კვერცხის დებისა, და ახლა კი სულ
იმის ცდაშია, რაიმე ეშმაკობით გაეპაროს ხოლმე თავის
მეტათ განუშორებელ მეუღლეს. აქვე ტბის ნაპირს დაჯ-
დება და თავს ფრთის ქვეშ ამოიდებს — მითომ მმინავ-
სო. მამალ იხვს მართალი ჭვერია თავის მეუღლის ძილი
და თითონ კი ნამდვილ ძილს მიეცემა ხოლმე; ამ დროს
დედალი იხვი, ფრთის ქვეშ-ქვეშ მომმინარებული, ცალის
თვალით უცქერის მამალს და, რაკი დარწმუნდება, სმინავსო,
წამსვე მიიმალება ჭილ ბალახებში; ათ ან ოც საუენტე
მეტს ქურდულათ გამვრებ-გამომვრება ჭილსა და ლერ-
წამებში, მერე, რო უფრო უკეთ არიოს გზა და კვალი,

ცოტათი მაღლა ამოფრინ ჯება, ჭაერში რამდენ ჯერმე ირგვლივ შემოუვლის და სრულებით სხვა მხრით, ისევ დაქშება ბალახებში და თავის მზა ბუდისკენ ფარულათ მიმდრება. კვერცხს დადებს თუ არა, ფრთხილათ წააერის ზედ ბალახსა და ბუმბულებს. ასლა ისევ სხვა გაით, სრულებით სხვა მხრით ბალახ-ბალახ გაძვრება, ამოფრინდება, რამდენ ჯერმე შემოივლის იმ ადგილის ახლოს, სადაც მისი მამალი ზას, დაეძვება ისევ დედამიწაზე და სრულებით სხვა მხრიდან მოევლინება ხოლმე თავის ერთგულ მეუღლეს. იშვიათია, რომ მამალი იხვი აძღენ ხანს გაბმულ მილში იყოს. ზოგჯერ დედალი მოელ საათს იგვიანებს და ამ ღროს გამოღვიძებული მაძალი იხვი მოუსვენრთ უმახის და დაეძებს თავის გაპარულ მეუღლეს, გაფაციცებით ათვალიერებს უველგან და აჩქარებული დაცურაობს, უვლის ტბის ნაპირებს და დაეძებს თავის დედალს, მაგრამ არც ისე ძრიელ შორს მიდის, იმედს არ ჰქარგავს, ჩქარ-ჩქარა უკანვე იხედება... ხო არ მოდის, ხო არ მოცურაობს ჩემი საუკარელი მეუღლეო.

ზოგჯერ დედალ იხვს სხვა ეშმაკობაც სჭირდება. როცა დაჭხედავს, რო მამალს მილი არ მოსდისო, მივა და მიეალერსება, დაუწეუბს ნისკარტით ფსანგას მამლის კისერს და ზურგს, მოუხილავს ბუმბულებს და ამასობაში მიაძინებს, ზოგჯერ კი ფსიზელ მამალსაც გაერთიება ხოლმე. რო დაატეობს, მამალი ძრიელ მაღიანათ მიირთმევს

საუჩებეს, ან თუ მამალი სხვა რასმეზე გაერთო, დედალი წამსვე გაჲქრება, ბალახებში მიიმაღება და გასწევს თავის ბუდისკენ კვერცხის დასადებათ. მაგრამ მამლის ასე მოტუება უოველთვის, რასაკვირველია, მნელია. საწეალ დედალს ზოგჯერ ძვირათ დაუკდება ხოლმე ბუდის და კვერცხების სიუვარული. თუ მამალი შოუხვდა ემბაკობას, განრისხებული გამოეკიდება დედალს, ჩაჲჭიდებს ნისკარტს კისერში, გამოათრევს ტბაზე და აქ იმდენს მიარტყავს, ჭიდრე ჩვენ მივეშველებოდეთ — საწეალ დედალს ნაწიწენი ბუმბულები ჰანტასავით ცვიგა ხოლმე.

* * *

ასე თუ ისე, დედალი იხვი მაინც ახერხებს და მამლის მალულათ თორმეტამდე კვერცხს დებს. ახლა კი სრულებით დაემალება მამალს და კვერცხებზე ჯდება კრუხათ. თიოქმის მთელი დღე ზის კვერცხებზე და მხოლოთ დაქმი ერთხელ გადმოდის ცოტა ხნობით, რომ იქვე ახლომახლო ხელათ შეჭამოს, შესვას რამე. მთელი ოთხი კვირა უნდება კვერცხების გამოჩეკას და ამიტომაც, ამ ღროს, კრუხი მრიელ გამხდარია. ბოლოს გამოიჩეკებიან იხვის ჭუჭულები, მონაცრო უვითელი ფერისა და ორიოდე კვერცხიც უეჭველათ ლაუე გამოდის, რადგან კრუხი იხვი თანაბრათ ვერ ათბობს უველა კვერცხებს.

გამოიჩეკებიან თუ არა ჭუჭულები, აღარ რჩებიან ბუდები. რამდენსამე საათს შეძღვებ დედას მიჭეავს და იქვე

ტბის ანუ გუბის ნაპირთან სადმე ჭილიან, ჩალიან მეუ-
დორ ადგილებში დაცურობენ. რა ალაგსაც ჭუჭუ-
ლებს ცურვა უჭირდებათ, დედა ფრთხილათ, ნაზათ ჩა-
აყლებს ნისკარტს და პირით გადაჭეავს. ეს ბევრ მონა-
დირეს უნახავს და მეც ჩემი თვალით ვნახეო, ამბობს
აქსაკოვი.

**

რა განუსაზღვრელი დედაშვილური სიუვარული აქვს
დედალ იხვს, შემდეგი მაგალითებიდან შევიტეობთ: როდე-
საც მაღლი ანუ კაცი ბუდიდან დააფრთხობს, დედალი
იხვი აფრინდება თუ არა, მაშინვე თაგს მოიმიზე ქებს,
ისე ფრინავს, თითქას ფრენა არ ცდისო, ანუ თოვნააკრა-
ვია და ფრთებში დაჭრილიაო, ასე რომ ვინც უნდა იუს,
იფიქრებს, ადვილი დასაჭერიაო და უპან გამოუდგება.
დედა იხვსაც ეს უნდა. მრიელ იშვიათია, რო მონადირე
მაღლი არ ძოტეუვდეს. ამასობაში იხვი მაღლს ტუებ-
ტუებით მთელ ვერსზე მეტ მანძილს გაატარებს და მით
თავის ბუდეს გადაარჩენს განსაცდელისაგან. მაგრამ გამოც-
დილი მონადირე კი მალე მიუხვდება ხოლმე იხვს ეშმა-
კობას და თუმცა იმავე დროს დარწმუნებულია, რომ დე-
და იხვს მთელი ბუდე კვერცხები, ვინ იცის დღე-დღეზე
გამოსაჩეკი, ოსრათ დარჩება, მაინც მონადირეს ავიწერება
ცოდო-მაღლი და საწეალ თავისნირულ დედას თოვით
უღებს ბოლოს.

უფრო ხშირათ კი დედალი იხვი თავის ჭუჭულებს შესწირავს ხოლმე სიცოცხლეს. ახლათ გამოჩეკილი ჭუჭულები დედას დაჲუგს და არხეინათ დაცურაობენ ტბაზე, მეუღლო ადგილს, მაგრამ ჩაპირს კი მაგრე რიგათ მალიან არ შორდებიან, რომ ვინიცობაა... მცრისაგან თავი მეაფარონ ჩალა-ბულაში. დაინახვენ თუ არა მტერს (მონადირეს), წამსვე საცოდავათ შესწივლებენ ჭუჭულები და შურდულის ქვასავით გაექანებიან ბალახებისაკენ და იქ იმალებიან, დედა იხვი კი ტბაზე რჩება, ზარ დაცემული ევირის, სცემს ფრთებს და აჭეაბუნებს წეალს; მერე აფრინდება და მონადირეს ხან წინ ეღობება, ხან თავს დასტრიალებს. ამ გვარათ მონადირე უნებლივთ მოელ თავის უწიადესებს დედა იხვს აქცევს და იხვი კი ამ ღროს სულ იმის ცდაშია, მონადირე სხვა მხარეს გაიტევოს, ჭუჭულებს მოარიდოს. ადამიანიც, ხომ მოგეხსენებათ, შეუწეალებელია, უმიზნებს თოვს და შვილებისთვის თავდადებული დედა, გულში ტუყია ნაკრავი, მკვდარი დაცემა ხოლმე ტბაზე. ცქრიალა ჭუჭულები, რაც უნდა პატარები დაობლდენ, მაინც ახერხებენ თავის თავის გამოზდა-გამოკვებას. ზოგჯერაც სხვა დედა იხვის ჭუჭულებს შეეკვდებიან და ორი ბუღობა ერთათ დაცურაობენ. მე მინახავს, სწერს აქსაკოვი,— ზოგჯერ ერთი კრუხი დედა იხვი ოცხე მეტს, სხვა-და-სხვა სიღიდის ჭუჭულებს მიუძღვდათ.

ჯემს გარფილდის ცხოვრება.

XXI.



ართილდმა ეჭოს მცველის თანამდებობა პირეელ წელს შემდეგ მიატოვა და იმავე აირამის ინსტიტუტში ინგლისის ისტორიისა, მწერლობისა და ძველი ენების უმცროსი მასწავლებლის ადგილი დაიჭირა, ასე რომ ერთ და იმავე დროს სტუდენტათ, ლექტორათ და დურგლათაც იყო. უკელა აჩხანაგები და ქალაქის მცხოვრებლები შეეჩინა მისი ჩაქუჩის რაკუნს ლექციების დაწყებამდე. სტუდენტები ხშირათ დაინახავდნ, რომ ჯემისი, იქვე ინსტიტუტის მახლობლათ, ერთ დიდ სახლის სახურავზე იდგა ხოლმე და მუშაობდა. უკელა დიდ პატივს სცემდა ამ შესამჩნევ მუშაქს, რომლისთვისც შრომა სიამოვნებას შეადგენდა.

დურგლობა კარგ შემოსავალს აძლევდა გარფილდს: თავს ირჩენდა და ინსტიტუტში შესატანი სწავლის ფულიც რჩებოდა ხოლმე. საზოგადოთ აირამის ინსტიტუტში ყოფნას ჯემისის ცხოვრებაზე დიდი გაელენა ჰქონდა. გარდა იმისა, რომ მასში უფრო და უფრო ნათლათ იხატებოდა ორატორის ნიჭი, მისი პოლიტიკური შეხედულებებიც თან-და-თან მტკრცდებოდა. ტყის შეილი გონებრივათ და ზეობრივათ იჩრდებოდა და შეუმჩნევლათ ემზადებოდა მომავალ დიდებულ მოღვაწეობისთვის. ესევე დრო სხვა მხრითაც იყო მის-თვის შნიშნელოვანი. საქმე იმაშია, რომ ერთხელ ჯემისა, ბერძნულ ენის ლექციის დროს, დაინახა ლუკრეცია რუდოლფის ქალი, რო-

მელიც მასთან ერთათ უწინ ჩესტერის სემინარიის სტუდენტთ იყო. მაშინვე ჯემსმა და ოუდოლფის ქალმა, ომელთაც ერთმანეთი პატიოსნათ და გულ-წრფელათ უყვარდათ, სტუდენტების ერთმანეთს, ორმ სწავლის დამთავრებას შემდეგ დაქორწინებულიყვენ.

აქამდეს, ოც და ორი წლის გარფილდს ველურს ეძახდენ და მართლათაც იყო დაქინებით გაურბოდა ქალების საზოგადოებას, მაგრამ ოუდოლფის ქალთან შეხვედრას შემდეგ ჯემსი გამოიცვალა; საცეკვაო საღამოებსაც ესწრებოდა, სასეირნოთაც დაილოდა ქალებთან ტყეებში და მთებში, ერთი სიტყვით მათი საზოგადოების სულის ჩამდგმელი იყო.

კლასში, საღაც ზოგჯერ 90-დე მოსწავლე იჯდა, ჯემსი ცველას ყურადღებას თანასწორათ იმორჩილებდა, მაგრამ განსაკუთრებულ მზრუნველობას უწევდა იმას, ვინც უფრო გონება გაუხსნელი მოსწავლე იყო. ერთი და ორი გამამხნევებელი სიტყვა, თვაზიანი ლიმილი არათ მიაჩნდა ახალგაზდა მასწავლებელს და ამით მოსწავლეების გულს კი იმორჩილებდა.

ბუნებით მგრძნობიერი და გულ-ჩჩილი, გარფილდი სხვებშაც გულ-კეთილობას დიდათ აფასებდა. მაგალითათ, ინსტიტუტში რომ კურსი შეასრულა, სხეა-და-სხეა უმაღლეს სასწავლებლის დარექტორების წერილები გაუგზავნა. იგი წერილებით თხოვდა ყველას, მაცნობეთ თქვენი სასწავლებლის მიმართულება და პროცედაცია. უკალამ აწორე, მაგრამ ციფი პასუხი გამოუგზავნეს. მისი ყურადღება მირეცა ულიამსტოუნის უმაღლეს სასწავლებლის დირექტორის ხოკეინსის მოკლე, მაგრამ გრძნობიერმა წერილმა: თუ ჩამოხვალთ აქ, იწერებოდა მოხუცი, — სასიამოენო მოვალეობათ ჩაეთველით აეასრულით ყველაფერი, რაც კა თქვენთვის საჭირო და თანაც შესაძლებელი იქნებათ. ამ წერილში რაღაც გულ-წრფელი, გულითადი თანაგრძნობა გამოიხატებოდა.

უსათუოთ მივდივარ უილიამსტოუნს, გამოუცხადა გარფილდმა ამხანაგებს და პროფესიონერებს გამოთხვების დროს.

მისი ძმა თომა დედასთან იყო. როცა გაიგო ჯემსი უალიამ-სტოუნს გადადის სწავლის დასამთაერებლათაო, მან გულ-დაწყვეტი-ლათ შენიშნა: ფული არ ეყოფაო.

— ნახევარი როგორც იყო მოვაგროვე, უპასუხა ჯემსმა, მეორე ნახევარი კი ზამთრობით იქ უნდა ვიშოვო, მეტი ღონე არ არის, სკოლებში მასწავლებლათ დაედგები.

— ნუ დაიგიწყებ, შენიშნა თომამ,—საქმე აუარება გექნება, თავისუფალი დრო ძალიან ცოტა დაგრჩება და ისიც რომ სამუშაოს ძებნას მოაწყობო, არ ივარგებს, არ გირჩევ.

— მაშ რა ვუყო, როგორ შევიტანო სწავლის ფული?

— ისესხე ჩემგან. როცა გექნება, გადამიხადე.

— მე რომ მოვკედე, ვიღა დაგიბრუნებს ფულს?

— ეგ ჩემი საქმეა.

ჯემსი დათიქრდა.

— აბა იცი როგორ მოვიქცეთ? უთხრა მან ბოლოს.—მე და-ვაზღვევ ჩემ სიცოცხლეს 500 დოლარათ. ამ პირობით თუ გინ-და მივიღებ შენგან ფულს. თუ ცოცხალი ვიქნები—გადავიხდი ვალს, თუ არა და—არაფერი არ დაგეკარგება.

XXII.

ჩამოვიდა თუ არა ჯემსი უილიამსტოუნს, მაშინვე ღირექტორ ხოპკინსთან გაიქცა. როდესაც ღირექტორმა დაინახა მაღალი, მორცე-ვი, ღარიბულათ ჩატული, ქერა-თმიანი ჭაბუკი და დაუკვირდა მის ფართე ღია შუბლს, კეთილათ გამომეტყველ, დაფიქრებულ სახეს, გაოცდა: არ სჯეროდა, რომ მის წინ დგას ჩესტერის სემენარიის სტუდენტი, ის სტუდენტი, რომლის მჭევრმეტყველურათ და გონივ-რულათ დაწერილმა წერილმა მისი ყურადღება მიიქცია.

— მე გახლავართ გარუილდი, ოგიოს შტატიდან.—მორცეათ წარმოთქვა სტუდენტმა.

ხოპკინსი მეგობრულათ მიესალმა და ხელი გაუწიდა, გარფილდ-
მა უცებ თავისუფლათ ამოისუნთქა. ასე ეგონა—ეს თვალ-საჩინო,
წარმოსადევი ღირექტორი ჩემი მახლობელი ნათესავია. აქამდის
მხოლოთ ხოპკინსის ლექციებს კითხულობდა სასოებით და ახლა
კი, წარმოიდგინეთ, თვით ავტორი მის წინ იდგა.

— რა რიგ მიხარიან, რომ ამ ადგილს ჩავეარდი, — იფიქრა ჯემსი.

გამოცდამ ჩინებულათ ჩაიარა და გარფილდი მაშინევ მიიღეს
სასწავლებელში.

— როდესაც სწავლა შეწყვეტილი იქნება, თუ აქ დარჩებით,
შენიშნა ღირექტორმა, შეგიძლიათ ისარგებლოთ სასწავლებლის
წიგნთ-საცავით. გარფილდს ამ ნება-რთვის მიცემა ძალიან სასიამოვ-
ნოთ დარჩა.

წიგნთ-საცავის სიმღიდრემ და მოწყობილებაშ ჯემსი ძალიან
გააოცა. სუყველაზე უწინ მან დაიწყო შექსპირის თხზულებათა შე-
სწავლა, იმდენათ გატაცებული იყო ამ გენიოსის ნაწერებით, რომ
მთელ სცენებს ზეპირათ სწავლობდა.

რადგანაც ჯემსს ახლა დღიურ საზრდოზე ზრუნვა აღარ სჭირ-
დებოდა, თავისუფალ დროს ქალაქის მიდამოებში დასეირნობდა. მკაცრ,
მთიან ბუნებას აქ სულ სხვა შეხედულება ჰქონდა, ვიდრე
გაშლილ მინდერებს ოგიოს მიდამოებში. მოკლე ხანში გარფილდ-
მა დაწერილებით გაიცნო ეს მხარე.

იქაური სტუდენტები, განსაკუთრებით მდიდარი დედ-მამის შეი-
ლები, პირველში ცოტა არ იყოს დაცინვით უყურებდენ უშნო და
შუდამ თმა-გაჩეჩილ ახალ სტუდენტს. უველაზე უფრო ძულდათ
შისი გაცვეთილი ტანთსაცმელი, არ სურდათ მისი გაცნობა. ჯემსმა,
რასაკეირველია, ეს შენიშნა, მაგრამ, როგორც საზოგადოთ, გულ-კუ-
თილი უმაწვილი ამასაც არაფრათ აგდებდა. არ გასულა ორი კვირა,
რომ ამხანაგებმა ჯემსზე აჩრი შეიცვალეს.

— კაცი კი არა—ანგელოზი ყოფილა, გაიძახოდენ ისინი.
მერე რა ღობნიერია! შეამჩნიეთ თუ არა, რა მარჯვეთ თამაშობს

ბურთს, ან როგორ გარბის! ნუ იფიქრებ—მოეწიოს ვინმე! ან რა სწავლულია! გადაუყლაპაეს რაღა ყველა წიგნები! ყველაფრით ყო-ჩალია, ყმაწვილებო, ევ ასახელებს ჩენ სასწავლებელს. ეს კია რომ ძალიან ღარიბულათ იცავს. კარგათ რომ გამოაწყოს კაცმა—ძა-ლიან ლამაზიც იქნება.

გარფილდი ყველამ შეიყვარა. უიმისოთ არაეითარი საქმე არ კეთდებოდა, ყველაფერში მონაწილეობა უნდა მიეღო; ლექსებსაც კი ბეჭდავდა „სასწავლებლის მიმოხილვაში“ (მოსწავლეების გაზეთი). სასწავლებლის მართველობა ძალიან კმაყოფილი იყო შორისიან მო-სულ ნიჭიერი ყმაწვილით. ხოპკინსმა ხომ შეილივით შეიყვარა. შე-მოდგომა გაეიღა, მოაწია ზამთარმა. სწავლა ორი თვით უნდა შე-წყვეტილიყო.

— როგორ აპირებთ, გარფილდო, ამ ორი თვის გატარებას, ჰკითხა ერთმა ამხანაგმა.

სუფთა-წერის სასწავლებლის გახსნას ვაპირებ, მხიარულათ მი-უგო ჯემსმა.—ოღონდ არ ვიცი, რა ადგილი ამოეირჩიო.

— წადით ვერმონტის ოლქში; იქ განათლებული და მდიდარი კაცები ბევრია და თქვენი სკოლის საქმეც კარგათ წავა.

გარფილდი მართლაც ასე მოიქცა; გადავიდა ნიუ-იორკის შტატ-ში. ვერმონტის მახლობლათ გახსნა სკოლა და არც წაუგია, ბევრი შეგირდები შეიძინა; იქაურ საყდრებში ქადაგებდა ხოლმე და ამი-თიც დიდი სახელი გაითქვა. ერთი მღვდელი ჩააციდა, ჩენში მი-სიონერათ დადექიო და დიდ ჯამაგირს გავიჩენთ, მაგრამ გარფილდ-მა გადაჭრით უარი უთხრა: ჯერ-ჯერობით ერთი მიზანი მაქვა — უმაღლესი განათლების მიღება, უამისოთ ვერ ვიკისრებ მაგ თანამ-მდებობასო. ეჭვი არ არის, რომ აირამის ინსტიტუტში არასოდეს არ მომცემენ იმისთანა ჯამაგირს, რაგორც თქვენ, ასე რომ უფრო ბევრი დრო გაივლის, სანამ მე ჩემ ვალებს გავისტუმრებ, მაგრამ მე მივეცი ჩემ თავს პირაბა, რომ დავამთავრებ თუ არა აქ სწავლას

პაროვესორათ შევიდე აირამში. ბევრი სიკეთე მიყო იქაურმა ინსტი-
ტუტმა და მოვალე ვარ დავაფასო. ამ გარდაწყვეტილებას მე არ
შეეცვლი არასოდეს.

სწორეთ ამ ხანებში ჯემსი ნივთიერათ ძალიან შევიწროებუ-
ლი იყო. მის ძმას თომას საქმეები როგორლაც დახლართოდა, ასე
რომ იძულებული შეიქნა ვალი ვადაეხადა და სამერმისოთაც შე-
მწეობის იმედი აღარ ჰქონოდა. თანაც საჭირო იყო—ერთი ხელი
სუფთა ტინისამოსის ყიდვა.

ბედზე ჯემსს მოეშეველა ერთი მეგობარი, რომელიც კარგა იც-
ნობდა იმ სოფლის საუკეთესო მკერავს, საღაც ჯემს სკოლა ჰქონდა.

— ბატონი ხასკელ, უთხრა მან მკერავს, დამავალეთ — შეუკერეთ
ნისიათ ტანისამოსი ერთ ახალგაზდა სტუდენტს, რომელმაც ჩევნ
სოფელში სუფთა-წერის სკოლა გახსნა. ძალიან კარგი ყმაწვილია:
ლარიბი, მაგრამ ყოვლათ პატიოსანი, უილიამსტოუნის სასწავლებელ-
ში სწავლობს, აქ მხოლოდ ღროებით ჩამოვიდა.

— კარგი, თანახმა ვარ, მიუგო მკერავმა.

— ერთათ რომ ვერ ვადაგიხადოსთ ვალი, ნაწილ-ნაწილათ მა-
ინც უსათუოთ ვადაგიხდისთ. ამაში თავდებათ დაგიდგებით.

— რა ჰქეიან იმ ყმაწვილს?

— ჯემს ვართვილდი, ოგიოდან.

— ვამოგზავნეთ ჩემთან.

მეორე დღეს ჯემსი მიყიდა მკერავთან და თვისი მდგომარეო-
ბა გულ-ახდით აუქსნა.

— ვალის გასტუმრების ვადას ვერ დაგინიშნავთ, უთხრა ვარ.
ფილდმა, მაგრამ პატიოსან სიტყვას კი მოგცემთ, რომ გროშს არ
შევირჩენ, სულ ვადაგიხდით.

— ძალიან კარგი, უპასუხა მკერავმა; რომელსაც მოეწონა
სტუდენტის კეთილ-შობილური შეხედულობა: ამ ვალის შესახებ ნუ
შეიწუხებთ თავს, ვანაგრძეთ სწავლა და როცა ბევრი ფული გექნე-
ბათ — მაშინ მეც ვამისხენით.

რამდენსამე დღეს შემდეგ ჯემსს ახალი ტანისამოსი მოუტანეს.
 ამ ტანისამოსით წავიდა სასწავლებელში.

მკერავის ვალი ჯემსმა სულ მოკლე ხანში გაისტუმრა.

მეორე კურსზე ვალებმა ისე გაუჭირეს საქმე, რომ დიდ ფიქრს შემდეგ გადაწყვიტა მიემართა ექიმ რობინზონისათვის, რომელიც მათი ოჯახის ძეელი მეგობარი იყო. გარფილდმა გულ-წრიფელათ დაუხატა თავის გაჭირვებული მდგომარეობა და ვალის უზრუნველ-საყოფათ ძმისგან უკან დაბრუნებულ დაზღვევის ქალალდს აძლევდა. რა თქმა უნდა, მოხუცმა ექიმმა მაშინვე სიხარულით დააკმაყოფილა მისი თხოვნა.

დედას ჯემსი ყოველ წელიწადს ნახულობდა ხოლმე, გარფილ-დისა ახლა უმცროს ქალთან ცხოვრებდა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რანაირ ბეღნიერებას გრძნობდა გარფილდისა, როდესაც შეილი მასთან ორ კვირას მაინც გაატარებ-და ხოლმე.

1856 წ. გარფილდმა ეს უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა და თხზულებისათვის კანდიდატის ხარისხი მიიღო; გარდა ამისა, დი-რექტორმა, პროფესორებმა და სტუდენტებმა ერთ ხმათ უმაღლესი ჯილდოთი დასაჩუქრეს.

XXIII.

გარფილდს ჯერ სწავლა არ დაემთავრებინა, რომ აირამის ინს-ტიტუტის სამოსწავლო კომიტეტმა ძველი ენებისა და სიტყვიერე-ბის პროფესორათ მოიწვია. სტუდენტები ახალგაზდა პროფესორს აღტაცებით მიეგებდნ. ჯემსმა ძალიან საპატიო ადგილი დაიჭირა. ეინ დაიჯერებდა მისი მჭერმეტყველი ლექციების გამგონე, რომ ცხრა წლის წინეთ ეს გამოჩენილი ორატორი და პროფესორი ჯო-რების გამრეკათ იყო ოგიო და პენსილვანიის არხზე მოსარულე ნაეებზე.

— ჩემი თაემოყვარეობა დაკმაყოფილებულია, ეუბნებოდა ჯემსი იმ ხანებში ერთ თაეის ამხანაგს. მიეიღე უმაღლესი სასწავლებლის მოწმობა და პროფესორობა აირამში. ახლა მთედი ჩემ ძალ-ღონეს ამ ინსტიტუტს შეეწირავ. ჯამაგირი გარეობრივი დიდი არ ჰქონდა. შეეძლო ერთი ორათ მეტ ჯამაგირიანი ადგილი ეშოვა, მაგრამ თავის ძეირფას სასწავლებელს, სადაც ისე ბეჭნიერათ თვლიდა თავს, ჯემსი არაფრისათვის არ მიატოვებდა.

ხოპკინსი ჯემსს მამასავით უყვარდა. მის დარიგებას და მაგალითებს სხვა-და-სხვა პედაგოგიური კითხების შესახებ, დიდი გავტლენა ჰქონდა ახალგაზდა პროფესორზე და ამიტომაც კითხა ხნის შემდეგ ჯემსი სამაგალითო პედაგოგათ და მასწავლებლათ იცნეს. არ გასულა ერთი წელიწადი, რაც ჯემსი ინსტიტუტში იყო, რომ ტექვის თავმჯდომარეთ ამოირჩიეს, გავიდა კიდევ ერთი წელიწადი და უფროსათ, ესე იგი სასწავლებლის დირექტორათ, დამტკიცეს.

გარეობრივი ერთი არა ჩემულებრივი ნიჭი ჰქონდა: უცემ გამოიცნობდა ხოლმე ახალგაზდა ყმაწეილებში ვინ უფრო ნიჭიერი იყო; ნიჭიერს ამოირჩევდა და დაწინაურებდა კიდეც. არა ერთხელ უნდა შებრძოლებოდა ჯემსი მშობლების უვიცობას, რომელნიც ერთ-ორ წელს შემდეგ გამოიყვანდნ ხოლმე შეიღს სასწავლებლიდან ისევ სახლში სამუშაოთ. ნიჭიერ ყმაწეილს გარეობრივი ადვილათ არ ანგებდა მშობლებს, ოღონდ ეს ბრძოლა ისე ფრთხილათ და ოსტატურათ მიჰყავდა, რომ გაუგებარ და გაუნათლებელ მშობლებს თავისდღეში შეურაცხყოფას არ მიაყენებდა; თავას მჭევრმეტყველებით ისე მოქმედებდა მათზე, რომ მშობლები, მისი თავაზიანობით აღტაცებულნი, ბავშს, რასაკეირველია, ისევ სასწავლებელში სტოვებდენ.

გარეობრივი თანდათან საზოგადო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა თვისი თავაზიანობით. ჯემსი თავის სიტყვას მტკიცეთ ასრულებდა, რომ დაპირდებოდა ეისმე—ამ ღროს მოვალ შენთანაო—ერთ წამსაც არ გადაცილებდა. უველაფერში სისწორე უყვარნაო—ერთ წამსაც არ გადაცილებდა.

და. რა საქმესაც დაიწყებდა, რაც უნდა ძნელი ყოფილიყო, უცხაო დამთავრებდა.

1858 წელს, 11 გიორგობისთვეს, ჯემს გარფილდმა ჯვარი-დაიწერა რუდოლფის ქალზე და ახალგაზდა ცოლის შემწეობით ბეკერი თავისი სამეცნიერო შრომები დამთავრა. ხშირათ აირამის მცხოვრებლები ხედავდენ შემდეგ სურათს: წეიმა კოკისპირულათ ასხამს; ამ დროს მოწინავის წიგნთ-საცავიდან ახალგაზდა დირექტორი და თან აუარება წიგნებს ძლიერ მოათრებს. გვერდში მოსდევს რომელიმე სტუდენტი და გაშლილი საწვიმარი ქოლგა უჭირავს. წიგნები გარფილდს გაგიფებით უყვარდა; რომელიც მოეწონებოდა, რამდენჯერმე გატაცებით გადაიკითხავდა ხოლმე.

უწინ აირამში ქალაქიც უქმობდა იმ დღეს, როცა ინსტიტუტის სტუდენტებს ჯილდოსა და სამეცნიერო ხარისხებს ურიცემდენ. ხალხი ათი ათასამდე მოიყრიდა ხოლმე თავს. მოედანზე გამართავდენ კარვებს, სადაც სასმელ-საჭმელი იყიდებოდა, გაჩნდებოდენ თვალთ-მაქცებიც, გაჩაღდებოდა ქეიფი, რომელსაც ხშირათ ცემა-ტყება და ბეკერი სხვა უწესოებაც მოჰყვებოდა. გარფილდმა თავის დირექტორობის დროს ამაებს ყველათვერს ბოლო მოულო, ასე რომ სტუდენტების დღესასწაული თუმცა კვლავინდებურათ მხიარულათ, მაგრამ წესიერათ ჩაივლიდა ხოლმე.

ის დამრიცებელი კი არა, დაუფასებელი განძი იყო! იტყოდა ხშირათ გარფილდის შესახებ ერთი პატივსაცემი მქადაგებელი, მის მოსწავლეთ ნამყოფი. ყველას სახელს გვიძახოდა, როცა თავისუფალი დრო ექნებოდა, ჩეკნთან ამხანაგურათ თამაშობდა, მაგრამ იმავე დროს არავის ნებას არ მისცემდა, რომ მისთვის რამე შეუსაბამო ეკადრებინათ. თუ რომ საჭირო იქნებოდა რომელიმე მოსწავლისა-თვის შენიშვნის ან გაფრთხილების გამოცხადება, გადახვევდა ხოლმე დამნაშავეს კისერზე ხელს და შეუმჩნევლათ უჩურჩულებდა ყურში, რაც საჭირო იყო.

ბატუს.

(შემდეგი ოქნება)



მეცნარე და მგელი.

(ი გ ა ვ ი)



ეცხვარემ ცხვარი დაჭყარება, წავიდა საძებრათ.
წინ მგელი შემოეფარა და მას ჰქითსა:

— ღვთის გულისთვის, წუხელის ერთ
ცხვარი დამეტარება და სომ არსად გინახავსო?
— ფარა სად გიუენა, რომ ამ ადგილებში დაემებ
დანაკარგ საო? ჰქითსა მგელმა.

— აგერ, თეთრი გორა რომ ჩანს, სწორეთ იმის ძირ-
ში მაქვს ფარეხი; მარჯვნივ ვიწრო ბილიკს რომ დაად-
გე, სწორეთ ზედ მიგიუვანსო, დაწვრილებით აუხსნა მე-
ცხვარემ.

ბევრი მებრით რომ მოიღალა, დაღონებული მწევე-
სი ცარიელი დაბრუნდა უკნ. ბინაზე რომ მივიდა, უთხ-
რეს: შენი წასვლის უმაღლ ერთი დიდი შავი მგელი მო-
გვივარდა და უაჩი მოგვტაცაო.

— ვაი ჩემ თავს! მწუხარებით წარმოთქვა მეცხვარებს: მე რომ მგელი შემსვდა, ნამდვილათ ის მოყარდნია ფარას; მე უგუნურმა გზა გასწავლე და გიუ იქნებოდა, რომ მით არ ესარგებლათ!

ალ. მ — შეილი.

ცხენი და აქლემი.



მერომა რომ ცხოველები გააჩინა, ცხენმა ახედა ბაზედა თავის თავს და ოქვა: „ლამაზი კი გარ, მაგრამ სჯობია, რომ უკეთესი ვიუოვო“. გადასწუვიტა ეს თავის გულში და შეევედრა ღმერთს, გაეშვენიერებინა ის. ღმერთმა ჰყითხა: „რით არ მოგწონს შენი თავიო“?

— კარგი იქნებოდა, მიუგო ცხენმა, რომ კისერი ისეთი მოძყა, როგორიც გედს აქვს, ფეხები ცოტა მოგრძო და წვრილ-წვრილი და ამასთან ზურგზე ბუნებითი უნაგირი მედგას, რადგანაც შენივე ბრძანებით, მე შენი საუკარელი ქმნილება-კაცი-უნდა გატარო ზურგითო“.

„კარგიო, ბრძანა ღმერთმა და გააჩინა აქლემი. „ა შენი სანატრელი სურათით, უთხრა ცხენს: — კისერი გედისა, ფეხები წვრილი და მოგრძო, უნაგირიც ზედ დაკრული! გინდა ამისთანა იქმნეა?“

ცხენმა რომ აქლემი დაინახა, თავი მიღს დაუშვა და
შიშით თრთოლა აუტედა. მას აქმ, სადაც კი შეხვდება
ცხენი აქლემს, თრთის და მიგმიგებს.

ბესარიონი.

დედის დარიგება.



ერავ, დედილო, ჭეიოდენ ზატარა ბაუა-ულაპიე-
ბი, როგორ დავიხსნათ თავი შავარდნებისაგან
და ქორებისაგან? ისინი მაინც არ იმლიან, გვ-
დევნიან.

— მართალია, ჩემო ბარტეებო, უთხრა გამოცდილმა
და მოხუცებულმა დედამ,—რასაკვირველია უნდა გემ. ნო-
დეთ, ეგ ფრინველები მძლავრნი, სწრაფნი და შეუბრალე-
ბელნი არიან. რაც შეიძლება მაღლა იფრინეთ, ერიდეთ
დაბალ შტოებზე სხდომას, ფსიზლათ იუავით და შიში
აღარაფრისა არ გექნებათ. თუ გინდათ რომ მტერს დას-
ძლიოთ, უნდა ეცადოთ იმაზე უპეოესი იუოთ.

სანდრო.

ବ୍ୟାକ ରାମମା

(ବ୍ୟାକମଣ୍ଡଗ୍ରନ୍ତିଲ୍ଲା ଦ. ଲ୍ଲେଲାଶ୍ଵିଳିସାଙ୍ଗାନ).

ବ୍ୟାକେଲି ମରସଦ୍ଯେବ ଶାମତାରଶି
ଫ୍ୟାଲ୍‌ସା, ଲୋନ୍‌ଗ୍ରାମ ମହିନାର୍ଥେ,
ପ୍ରୟୋଗ ତ୍ରୁଟି ରନ୍‌ଧ ଶ୍ରେଷ୍ଠ,
ଫାମାକ୍ରୁନ୍‌ଦେଶ ମନିନାର୍ଥେ.
ମେଳର୍କେ ଗ୍ରାମଲ୍ୟେ ବାଦାଶି,
ଲାକ୍ଷତ୍ରୁପ୍ରେଦିତ ମିଳି କୁମିତା;
ଅତକି ଏବନୀ ଲାକ୍ଷ୍ମୀରୀତ,
ପାତ୍ରାତ୍ମାନ ପାଦମତାନିତା.

ବ୍ୟାକ ରାମମା

(ବ୍ୟାକମଣ୍ଡଗ୍ରନ୍ତିଲ୍ଲା ବ. କୌଣ୍ଠାଶ୍ଵିଳିସାଙ୍ଗାନ).

ରାଜୁରା ହାତ୍ପାଦିତ ପୁଲିରେ କ୍ଷେତ୍ର,
କାଶିନ ହାତ୍ପାଦିତ ପୁଲିରେ କ୍ଷେତ୍ର.

ଶ୍ରେଣୀ ସିଗୁଲାଙ୍ଗେ ହୃଦି ସିଲାହରିଲେ ଧରାଲିବ.

ଏହି ମିନଦା ଶ୍ରେଣୀ ଶର୍ମିଶିବ,
ନୃତ୍ୟ ଏହାର ଶ୍ରେମିମନ୍ଦିଶିବ!..



60

ଶ୍ରୀ କୃତ୍ତବ୍ୟ

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ ମେଲ୍

କଲାପାତ୍ର

କୃତ୍ତବ୍ୟ

(ଚାରମଣିଧିନୀଙ୍କୁ ଶ. ଶର୍ମିଳାଙ୍କନାଶଗାନ)।

ମହାଦେବ.

10



5

ଜ୍ଞାନର ଦା-
ନ୍ଦନାଶଗାନସବେ-
ଦୋ-
ନ୍ଦନ

ର 70 ଟଙ୍କା

1 ଟଙ୍କା 100

ମନୀଶ
ଶ୍ରୀ-
ଶର୍ମିଳା.

ଟ 1 ଟ 100 ଟ 1

କା ଶାର
ଦେଖି-
ବିଜିତା.

ଟ ୩



20 ଟ 4



ଟ 13 ୫ ୧୦ ଟ ୧



ଟ 40 ଟ 30



ସ୍ଵେଚ୍ଛାକାରୀ ପ୍ରକାଶକର୍ତ୍ତାଙ୍କ ନାମ୍ବ୍ରାଂକିତ ମୁଦ୍ରା ହାଲସାବାସ କାରତ୍ତୁଳି ପ୍ରକାଶକର୍ତ୍ତାଙ୍କରେ

No II ଗତିରଚାନ୍ଦେବିର ଆଶେନା:

ପ୍ରକାଶକର୍ତ୍ତାଙ୍କ ପ୍ରକାଶକର୍ତ୍ତାଙ୍କ

ପ୍ରକାଶକର୍ତ୍ତାଙ୍କ ପ୍ରକାଶକର୍ତ୍ତାଙ୍କ

ପ୍ରକାଶକର୍ତ୍ତାଙ୍କ ପ୍ରକାଶକର୍ତ୍ତାଙ୍କ

ପ୍ରକାଶକର୍ତ୍ତାଙ୍କ ପ୍ରକାଶକର୍ତ୍ତାଙ୍କ

ପ୍ରକାଶକର୍ତ୍ତାଙ୍କ ପ୍ରକାଶକର୍ତ୍ତାଙ୍କ

ପ୍ରକାଶକର୍ତ୍ତାଙ୍କ ପ୍ରକାଶକର୍ତ୍ତାଙ୍କ